ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა **საქართველოს ისტორია**

მაკა მაზიაშვილი

სამეფო კარის ცერემონიები შუა საუკუნეების საქართველოში

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს ისტორიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი აპოლონ თაბუაშვილი
ისტორიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

MA Program in History

Maka Maziashvili

Ceremonies of the Royal Court in Medieval Georgia

Thesis is prepared to obtain MA Degree in History of Georgia

Scientific Advisor Apolon Tabuashvili

Ph.D. in History, TSU Associated Professor

Tbilisi

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება სამეფო კარის ცერემონიებს. ცერემონიები მნიშვნელოვან როლს თამაშობდა შუა საუკუნეების საქართველოში. თემაში განხილულია სხვადასხვა ცერემონია, ხოლო მთლიანი ნაშრომი მოიცავს შესავალს, ძირითად ნაწილსა და დასკვნას. ძირითადი ნაწილი დაყოფილია შვიდ თავად. პირველ თავში აღწერილია მეფის კურთხევის ცერემონია. მეორე თავში ვეცნობით დარბაზობის წესებს, ფორმებს და მათ დანიშნულებას. მესამე თავი მეორე თავის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს, რადგან დარბაზობის შემდეგ ხშირად იმართებოდა პურობა, ხოლო პურობის ცერემონია კარგად ჩამოყალიბებული და სრულყოფილი ცერემონიალით ტარდებოდა. მეოთხე თავი ეხება მოხელეთა დანიშვნის ცერემონიას. მეხუთე თავში მეფის ცერემონიალური სამოსია განხილული. მეექვსე თავი ეთმობა უცხოელი სტუმრის მიღების წესების აღწერას. მეშვიდე თავში განხილულია მეფის დაკრძალვის ცერემონია.

ნაშრომის შესრულების მიზანია ქართული სამეფო ცერემონიების შესახებ მეტ-ნაკლებად სრული ინფორმაციის მოგროვება და მათი განხილვა, აღნიშნული თემა აქტუალურია იქიდან გამომდინარე, რომ ცერემონიების ჩატარების წესები ნათლად მიუთითებენ სამეფო კარზე არსებულ პოლიტიკურ და კულტურულ მდგომარეობას, ასევე, იმას თუ რამდენად განვითარებული იყო საზოგადოება, რა იყო უმაღლესი ქართული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და სხვა მრავალი დეტალი. თემის განხილვა ასეთი რაკურსით ერთგვარი სიახლე იქნება, რადგან შუა საუკენეების საქართველოს სამეფო კარის ყველა მნიშვნელოვანი ცერემონია ერთად აღებული ქართული ისტორიოგრაფიაში არ არის განხილული. ეს იქნება პირველი მცდელობა ერთად მოვუყაროთ თავი დაგროვილ ინფორმაციას და განვიხილოთ იმის მიხედვით, რამდენადაც ქართული ისტორიული წყაროები მოგვცემს ამის საშუალებას.

Annotation

MA thesis deals with issues of the royal ceremonies of medieval Georgia. They had an important role in the middle ages. Several ceremonies are discussed here and overall thesis consists of preface, main part and conclusion. The main part of thesis is divided in seven chapters. The first chapter is about the royal ceremomy of coronation. Second chapter is concerning ceremonies of the royal court (*darbazi*). Third chapter deals with the issue of the royal banquet, which could be defined as a continuation of previous section. Forth chapter is about appointment ceremony of court officials. Fifth chapter included information on royal clothing of the Georgian sovereigns. Sixth chapter deals with the issue of reception of foreign ambassadors and guests. The last chapter is about the ceremony of royal funeral.

The aim of our thesis is to collect and consider all available information about the royal ceremonies. The topic is significant as it clearly demonstrates the political and the cultural condition of the royal court. It also demonstrates how much society was developed in the middle ages. Discussion on these issues seems to be original approach to the topic just as all these royal ceremonies of medieval Georgian has never been examined utterly in the Georgian historiography. Hence, this is the first attempt to collect all necessary information for analyzes, as much as sources are available, and as a result to draw some conclusions.

შინაარსი

	გვ.
შესავალი	6
I თავი. მეფის კურთხევა.....	8
II თავი. სამეფო დარბაზობა.....	28
III თავი. საზეიმო პურობა.....	37
IV თავი. მოხელეთა დანიშვნა.....	41
V თავი. მეფის ცერემონიალური სამოსი.....	50
VI თავი. უცხოელი სტუმრის მიღება.....	56
VII თავი. მეფის დაკრძალვა.....	66
დასკვნა.....	75
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა	77

შესავალი

აღნიშნული ნაშრომის მიზანია ერთად მოუყაროს თავი სამეფო კარზე არსებულ ცერემონიებს, განიხილოს თითოეული მათგანი და თვალი გაადევნოს მის განვითარებას. სამეფო კარის ცერემონიები მრავალმხრივ საინტერესოა, რადგან უნიკალურად აღგვიწერენ სამეფო კარზე არსებულ ვითარებას, ისინი ქვეყნის განვითარების და კულტურის ერთგვარ განმსაზღვრელად წარმოგვიდგებიან. ნებისმიერი ცერემონიის ჩატარება მოითხოვს იმ ტრადიციების და წესების გათვალისწინებას რაც დამკვიდრებული იყო ქვეყანაში, შესაბამისად, ყველაფერი ეს ასახვას ჰპოვებდა ცერემონიაში. შუა საუკუნეების სამეფო კარის ცერემონიათა ყველა შემადგენელი დეტალი ქმნის იმ საერთო რეალობას, რასაც წარმოადგენდა შუა საუკუნეების საქართველოს სამეფო კარი.

შუა საუკუნეების საქართველოს სამეფო კარის ცერემონიალი კომპლექსურად არ არის შესწავლილი, ერთად თავმორილი მასალა კი საინტერესო და სიახლის შემცველი იქნება მკითხველისთვის. ჩვენ განვიხილავთ ცერემონიებს, მათ მნიშვნელობას და იმ დეტალებს, რომლებსაც მივყავართ შუა საუკუნეების საქართველოს ყოფა–ცხორებასთან და კულტურასთან. ცერემონიები წლების მანძილზე განხილებოდა სხვადასხვა თვალთახედვიდან, ზოგჯერ მეცნიერები სოციალური ფენებით ინტერესდებოდნენ, ზოგჯერ სხვადასხვა მოხელე-დიდებულის უფლება-მოვალეობების გარკვევით, ჩვენ კი ისტორიულ წყაროებს მხოლოდ ცერემონიების აღსადგენად გამოვიყენებთ და შევეცდებით ნათლად წარმოვადგინოთ ის რეალობა, რაც სუფევდა შუა საუკუნეების სამეფო კარზე.

საკითხის შესასწავლად, ძირითადად, ვეყრდნობით იმ ქართულ წერილობით ძეგლებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ქართულ ისტორიოგრაფიში დიდ

როლს ასრულებს. „ქართლის ცხოვრება“ არის უნიკალური ძეგლი, რომელიც ჩვენი ერთ-ერთი მთავარი წყაროა, კერძოდ ვიყენებთ: ჯუანშერის „ცხორებაჲ ვახტანგ გორგასლისა“; „მატიანე ქართლისაჲ“; დავითის ისტორიკოსის „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“; სუმბატ დავითის ძის „ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთაჲ“; თამარის ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“; ბასილი ეზოსმოძღვარის „ცხორებაჲ მეფეთ მეფისა თამარისი“ და ჟამთააღმწერელის „ასწლოვანი მატიანე“. ასევე, ძირითადი წყაროა ი. დოლიძის გამოცემული „ქართული სამართლის ძეგლების“ I და II ტომები, საიდანაც ვიღებთ ინფორმაციას იმ ისტორიული ძეგლების შესახებ, რომლებშიც საუბარია სამეფო ცერემონიებზე, ესენია: „ხელმწიფის კარის გარიგება“, „დასტურლამალი“ და სხვ. ასევე, გამოყენებულია ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650–1652 წწ.“; პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ და სხვა ჩვენთვის მნიშვნელოვანი ისტორიული წყარობი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული საკითხი ბევრი ისტორიკოსის განხილვის საგანი არ გამხდარა, მაგრამ, გარკვეულწილად, მაინც ეხებიან ჩვენთვის საინტერესო წყაროებს. საკითხის შესწავლის მიზნით ვიყენებთ აკად. ივ. ჯავახიშვილის „თხზულებები თორმეტ ტომად“ VI-VII ტომებს, სადაც განხილულია მეფედ კურთხევის შესახებ ისტორიული წყაროები. ასევე, ვიყენებთ პროფ. ჯაბა სამუშიას „ბაგრატ III“-ს. გამოყენებული გვაქვს პროფ, ილია ანთელავას „საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს-ში“. ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილი ისეთი წიგნები როგორებიცაა: „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ III ტომი, „ქართული დიპლომატიის ისტორია“; „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები“ (I და II ტომები) და სხვ. სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია მიხეილ ბახტაძის „ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში“; აკად. ნიკოლოზ ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხები“ ტ. III; ი. ციციშვილის „მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისთვის“ და სხვ.

I თავი

მეფის კურთხევა

ისეთი მონარქიული ქვეყნისთვის, როგორიც საქართველო იყო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მეფის კურთხევის ცერემონიას. საუკუნეთა განმავლობაში, რა თქმა უნდა, იცვლებოდა დეტალები, მაგრამ ძირითადი ნაწილი ცერემონიის უცვლელი უნდა დარჩენილიყო. ქართულ წერილობით წყაროებში დაფიქსირებულია საინტერესო ცნობები ამ ცერემონიასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ერთიან მთლიან ცერემონიას ის „წესი და განგება მეფედ კურთხევისა"-ში არის წარმოდგელინი. ეს წერილობითი ძეგლი XIII საუკუნეს განეკუთვნება, მანამდე კი სხვადასხვა ისტორიკოსთან ფრაგმენტებია დაცული მეფედ კურთხევის ცერემონიის, ან იმის თაობაზე, რომ მეფედ კურთხევა ნამდვილად ხდებოდა. როდის დაწესდა საქართველოში მეფედ კურთხევა ზუსტი ცნობა არ მოგვეპოვება. ერთი რამ ცხადია, როდესაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა მას შემდეგ მეფედ კურთხევა საერო და სასულიერო ცერემონიას მოიცავდა. უმაღლესი საერო ხელისუფალი, მეფე, უმაღლეს სასულიერო პირს უნდა დაელოცა. საინტერესოა, რომ „ქართლის ცხოვრებაში" ბაგრატიონთა მემატიანე, სუმბატ დავითის ძე, ადარნასეს მეფედ დასმის ფაქტს აფიქსირებს, მაგრამ არაფერს ამბობს მისი კურთხევის შესახებ. სუმბატის თხზულებაში ვკითხულობთ: *„ადარნასე, ძე დავით კურაპალატისაჲ, დასუეს ქართველთა მეფედ [ნაცვლად] მის მოკლულისა"*.[1] სუმბატ დავითის ძე, ზოგადად,

[1] სუმბატ დავითის ძე. ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთაჲ. გამოსცა მ. ლოთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ.2008, გვ. 366.

მოკლე ცნობების მოწოდებით გამოირჩევა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია მაინც მნიშვნელოვანი ცნობაა ჩვენთვის. *„დასუეს ქართველთა მეფედ“* რას გულისხმობდა ზუსტად არ არის განმარტებული, ამიტომ ვერ დავაზუსტებთ მეფედ აკურთხეს თუ არა ადარნასე.

რაც შეეხება პირველ ცნობას, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია და ეხება მეფის კურთხევას, გიორგი II–ს ეხება. „მატიანე ქართლისაიში“ ვკითხულობთ: *„ითხოვა ლიპარიტ ძე ბაგრატისი გიორგი მეფედ და მოსცა იგი დედამან და დიდებულთა მის ქვეყნისანი. მოიყუანეს საყდარსა რუისსა, აკურთხეს მეფედ“.*[2]რა თქმა უნდა, ეს პირველი მეფედ კურთხევა არ იქნებოდა. ამავე წყაროში ბაგრატ III-ის შესახებ გვხვდება ასეთი ფრაზები: *„შთაიყვანეს იგი აფხაზეთს, დალოცეს მეფედ და დაუმორჩილნეს ყოველნი ბრძანებასა მისსა, რამეთუ განსრულებულ იყო ჰასაკითა“.*[3] ადვილი შესაძლებელია მეფედ დალოცვა სწორედ კურთხევას ნიშნავდეს, სამწუხაროდ სხვა ცნობა, რომელიც უფრო გაამყარებდა ამ მოსაზრებას ჩვენამდე მოღწეული არ არის. დანამდვილებით არც ის ვიცით სად და როდის განხორციელდა ბაგრატის მეფედ კურთხევა, ან ვინ ესწრებოდნენ. ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეგვიძლია. როგორც პროფ. ჯაბა სამუშია ვარაუდობს, ბაგრატის მეფედ კურთხევა ქუთაისის მთავარ კათედრალში უნდა ჩატარებულიყო, ეს უნდა ყოფილიყო საერო და სასულიერო რიტუალების ერთობლიობით ჩატარებული მეფედ კურთხევის ცერემონია.[4]

მეფედ დასმის შესახებ ცნობებს გვაწვდის დავითის ისტორიკოსი, კერძოდ ვკითხულობთ: დავითმა *„თვსითა ჴელითა დასუა საყდარსა თვსსა ძე თვსი დიმიტრი . . . და დაადგა თავსა შვენიერსა გვირგვინი ქუათაგან პატიოსანთა . . . შეარტყა წელთა ძლერთა მახვილი რაბამ სვიანად ჴმარებული და შემოსა პორფირი მკლავთა*

---

[2] მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება, თბ. 2008, გვ. 287.

[3] იქვე, გვ. 269.

[4] ჯ. სამუშია. ბაგრატ III, თბ. 2012, გვ. 46.

ლომებრთა და ტანახოვანსა და დაულოცა ცხორება წარმართებული და განგრძობა დღეთა ბედნიერებით. თაყვანისცემა მისსა და ყოველთა წარმართთა მონებად მისსა, გამობრწყინებად დღეთა მისთა სიმართლე და მრავალი მშვიდობაჲ".[5] ამ ყველაფერს ვიზუალურად გამოსახავს და ნათელს ჰფენს მაცხვარიშის მაცხოვრის სახელობის ტაძარში 1140 წელს შესრულებული ფრესკა, რომელზეც გამოსახულია მეფედ კურთხევის სცენა, ეს არის განუმეორებელი ფრესკა, რომლის მგავსი სხვა არ მოიპოვება საქართველოში. მეფე დემეტრე მთელი ტანითაა გამოსახული და მას დიდიებულები ხმალს არტყავენ.

რაც შეეხება თამარ მეფის კურთხევას და მეფედ კორონაციას ისტორიკოსი წერს: გიორგი III–მ თამარი *„მეფე ყო თანადგომითა ყოველთა: პატრიარქთა და ებისკოპოზთა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა, და დაისუა მარჯვენით მისსა მეფე და დედოფალი, შემკული და შემოსილიფერად–ფერადითა ფესვედითა ოქროანითა ბისონითა და ზეზითა...და დაადგა გვირგვინი ოქროსა თავსა მისსა, ოქროსა ოფაზისა, აღმკული იაკინთთა, ზმირთა და სამარაგდოთა მიერ და მდიდარნი ერისანი ლიტანიობდეს წინაშე პირსა მისსა და თვთ მეფემან მაფიცებელმან ერთგულობისა ერთსულობისა მისთჳს...და შემვედრებელი ღმრთისა, მაკურთხე ექმნა კურთხევითა აბრამიანითა".* [6] უფრო დაწვრილებით თამარის მეორე კურთხევაა აღწერილი, რომელიც ცერემონიის სრულყოფილ სურათს გვიხატავს. გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ დიდებულებმა თამარის ხელმეორედ კურთხევა გადაწყვიტეს, რათა თავიანთი ძალაუფლების დემინსტრირება მოეხდინათ. თამარ მეფე დათანხმდა და *„აღმყვანელთა საყდართა დასაჯდომთა [მამა]პაპეულთა აღსუეს მზე იგი მზეთა...და მოიღეს გვირგვრგვნი, აღიღეს ჯმა მგალობელთა და ძლევით გვრგვნოსნობისა და*

[5]ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი. გამოსცა მზ. შანიძემ, თბ. 2008, გვ. 347.

[6] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. გამოსცა გ. კარტოზიამ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 390–391.

მძლედ–მფლობელობისა მოახსენეს...ამას ესევითარსა შესხმასა და გალობასა შინა, ვინაითგან ლიხთიმერთაგან იყო წესი დადგმად გვრგვნისა თავსა სამეუფოსა, აწუეს მონაზონი ღირსი და მადლშემოსილი, მთავარეპიზკოპოზი ქუთათელი ანტონი საღირისძე მიღებად გვრგვნისა. და [სრულ ყუეს რა კურთხევად, დალოცეს] კვირიკესძე კახაბერი, ერისთავი რაჭისა და თაკუერისა, და სრულყუეს მოჭელეთა სუიანთა და დიდებულთა ვარდანისძეთა, საღირასძეთა და ამანელისძეთა მოღებად და დადებად ჴრმლისა. ამას შინა ჰკრეს სპერჭურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა, და იყო ზარი და ზეიმი ქალაქსა შინა, სიხარული და შუება და...თაყუანი სდალოცეს და ადიდეს სპათა შვიდთავე სამეფოსათა".[7]

ზემოთ მოტანილი აღწერილობებიდან ჩანს, რომ მეფის კურთხევა იწყებოდა უფლისწულის „ტახტზე" ან „საყდარზე" აყვანით. შემოჰქონდათ სამეფო გვირგვინი და იწყებოდა მეფის კურთხევა და ცხება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შუა საუკუნეებში უფლისწულს განსაკუთრებულად ზრდიდნენ. ის უნდა ყოფილიყო განათლებულიც და ფიზიკურად ძლიერი, ქვეყნის მთავარსარდალს როგორც შეეფერებოდა. ხშირი იყო თანამოსაყდრედ დასმა და გარკვეული გამოცდილების დაგროვება თუ გადაცემა მომავალი მეფისთვის. განვაგრძოთ ჩვენთვის მნიშვნელოვანი ცერემონიის ფრაგმენტების აღდგენა. კურთხევის ცერემონიას მოჰყვებოდა ცხება. ცხება იმდენად მნიშვნელოვანი იყო რომ მეფეს „ცხებული" ეწოდებოდა. თამარ მეფის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ მეფის კურთხევის თანახმად მეფის თავზე გვირგვინის დამდგმელი ლიხთიმერელი მღვდელმთავარი უნდა ყოფილიყო. ეს კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ მეფის კურთხევის „განგება" იმ დროს უნდა ყოფილიყო შედგენილი, როდესაც საქართველოს მეფეები მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მეფეებად იწოდებოდნენ. შესაძლოა გამოვთქვათ ვარაუდი, რომ თუ ერთიანი საქართველოს მეფე ბაგრატ III ქუთაისში აკურთხეს მეფედ, თავისთავად ცერემონიაში მონაწილე

[7] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. გამოსცა გ. კარტოზიამ, გვ. 399–401.

პირები, საეროც და სასულიეროც დასავლეთ საქართველოში მცხოვრებნი უნდა ყოფილიყვნენ. ამის შემდეგ კი დიდი ხნის მანძლიზე შენარჩუნდა ეს ტრადიცია. XIII საუკუნის ძეგლში კი უკვე შეცვლილია მდგომარეობა. ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ. საეკლესიო „კურთხევა“ და „ცხება“ კი მთავრდებოდა მას შემდეგ, რაც ქუთათელი მიტროპოლიტი მეფეს თავზე გვირგვინს დაადგამდა.

საეკლესიო ცერემონიის დასრულების შემდეგ იწყებოდა საერო ცერემონია, კერძოდ მეფესთან მიჰქონდათ სამეფო ნიშნები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამ ნიშნებს შორის იყო „მახვილი“ – „ჯრმალი“, რომელიც სახელმწიფო მთავარსარდლის სიმბოლო იყო. მახვილის „შერტყმა წელთა“ მიღებული წესი ყოფილა. ამას ამტკიცებს დავით აღმაშენებლის მოქმედებაც, როდესაც თავის შვილს „სვიანად ხმარებული“ მახვილი წელზე შემოარტყა. თამარ მეფის კურთხევის დროს კი „ჯრმალის მოღება და დადება“ იხსენიება, შემორტმა სიტყვა მემატიანეს არ უწერია, სავარაუდოდ ქალი მონარქისთვის მახვილის შემორტყმა უხერხულობას გამოიწვევდა. თამარის მეფედ კურთხევის დროს ჯერ კიდევ მთავარ როლს დასავლეთ საქართველოს დიდებლები ასრულებდნენ. ხმლის გადაცემა რაჭისა და თაკვერის ერისთავებს განუხორციელებიათ, საღირასძეთაგან– ანტონი ქუთათელი მთავარეპისკოპოსი იყო. დიდებული აზნაურების ცერემონიაში ამ სახით მონაწილეობის მიღება მიაშნებს იმას, რომ ეს აზნაურები თავიანთ უფლებებს უთმობდნენ მეფეს. ამით კიდევ ერთხელ უსვავდნენ ხაზს თავიანთ უფლებრივ მდგომარეობას.

„წესი და განგებაჲ მეფეთა კურთხევისა[ჲ]“ არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც მოგვითხრობს სრულყოფილად მეფედ კურთხევის ცერემონიის შესახებ. თავდაპირველად ამ საკითხით დაინტერესდა თ. ჟორდანია და თავისი „ქრონიკების“ პირველ წიგნში დაუთმო ადგილი. შედარებით ვრცლად აღნიშნული საკითხი განხილული აქვს კორნელი კეკელიძეს თავის გამოკვლევაში «Литугические памятники в отечественных книгохранилищах».

1913 წელს ს. კაკაბაძემ მეფედ კურთხევის ცერემონიის ტექსტი ქარაგმიანად და იმავე შეცდომებით გამოსცა, როგორიც თვით ხელნაწერშია შემონახული, შემდეგი სათაურით: „მეფის კურთხევის წესი, XIII საუკუნის დასაწყისს შედგენილი“. ტექსტი გამოცემულია წ.კ.ს. წიგნსაცავის №352 ხელნაწერის მიხედვით.[8] ს. კაკაბაძე ამტკიცებს, რომ მეფის კურთხევის წესი XIII საუკუნეზე ადრე არ უნდა იყოს შედგენილი. თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად ასახელებს რამდენიმე ფაქტს: ტექსტში იხსენიება აფხაზეთის კათალიკოსი, ეს კი დაარსდა XIII საუკუნის დასაწყისში. ასევე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მეფეთ კურთხევის წესი თამარის მეფობის მეორე ნახევარში შეიძლება იყოს შედგენილი ან ლაშა–გიორგის დროსო. მეფედ კურთხევის მეორე რედაქციის შედგენის თარიღად კი 1270 წელს ასახელებს და დემეტრე თავდადებულს უკავშირებს. სამწუხაროდ, რა ფაქტებს ეყრდნობა ამ მოსაზრების დასამტკიცებლად მოტანილი არ აქვს.[9]

ნ. ბერძენიშვილი არ იზიარებს ს. კაკაბაძის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც მეფედ კურთხევის წესი გიორგი ლაშას მეფობის დროს იყოს შედგენილი, რადგან მსახურთუხუცესი ამ ძეგლში ვაზირთა შორის იხსენიება, მისი ვაზირის უფლებებით აღჭურვა კი რუსუდანის მეფობის დროს მოხდა. დანამდვილებით იმის თქმა შეგვიძლია, რომ მეფედ კურთხევის წესი XIII საუკუნის II ნახევარს ეკუთვნის. ზუსტად ვინ და რომელ წელს ჩაწერა ვერ დავადგენთ, რადგან შესაბამისი ფაქტები არ გაგვაჩნია.

მეფის კურთხევის სრული აღწერილობის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ და წარმოვიდგინოთ ის ცერემონია, რომელსაც ატარებდნენ შუა საუკუნეების საქართველოში. განვიხილოთ ისტორიული წყარო „წესი და განგება მეფედ კურთხევისა“, რომელიც გამოქვეყნებულია „ქართული სამართლის ძეგლები“-ის

[8] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VI. თბ. 1982, გვ. 75.
[9] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებები თორმეტ ტომად, ტ. VI, გვ.76.

მეორე ტომში.[10]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეფედ კურთხევის ცერემონიაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირები. მეფედ კურთხევისთვის მზადება რამდენიმე დღით ადრე იწყებოდა. ცერემონია, ფაქტობრივად, წინა დღის საღამო ჟამს იწყებოდა. კათალიკოზი შეარჩევდა ერთ მთავარეპისკოპოსს, რომელიც მღვდელ–დიაკვნებთან ერთად კელეპტრებით ხელში და გალობით სასახლეში უნდა მისულიყო და სამეფო ნიშნები წამოეღო. სამეფო ნიშნებს შეადგენდნენ: გვირგვინი, სკიპტრა, პორფირი და ბისონი, რომლებიც ფეშხუმზე უნდა დაედოთ, შეებურათ და იმ ეკლესიაში მიეტანათ, სადაც მეფედ კურთხევის წესი უნდა შეესრულებინათ.

სამეფო ნიშნები საკურთხეველში, ტრაპეზზე ინახებოდა და შემდეგ იწყებოდა მწუხრის ლოცვა ღამისთევით. *„ღამე იგი უძილოდ განათიონ ლოცვითა და ვედრებითა ღმრთისა მიმართ, თვთ მეფედ განმზადებულმან და ყოველთა პალატათა შინა და სავსებამან ეკლესიის ამან“.* ღამისთევის დასრულების შემდეგ მლოცველები შინ ბრუნდებოდნენ. წირვის ჟამის მოსვლის დროს სამჯერ ჰკრავდნენ ძელს და ეკლესიაში იკრიბებოდნენ. ძელზე კვრა მიგვანიშნებს იმაზე, რომ აღნიშნული წესი XII-XIII საუკუნეებამდე უნდა ყოფილიყო, რადგან შემდეგ უკვე ზარების რეკვით იხმობდნენ მრევლს წირვაზე დასასწრებად.

შემდეგ ვკითხულობთ, კათალიკოზის, ეპისკოპოსების, მღვდლებისა და დიაკვნების შემოსვის შემდეგ „ჯუარის მტვრთველი“ „ძელი ცხოვრებით“ ხელში მთავარდიაკონის წინხლებით სასახლეში უნდა წასულიყო. სამეფო პალატაში შესულ ჯვრისმტვირთველს უნდა ეთქვა მეფისთვის: *„გუაკურთხენ, წმიდაო და თვითმპყრობელო მეფეო, მრავალმცა არიან წელნი მეფობისა თქვენისანი“*, ამასვე იმეორებენ სრულიად ლაშქარნი. შემდეგ ამისა ჯვრისმტვირთველი მიმართავს ლაშქარს: *„და თქვენცა გიხაროდენ ძალნო უძლეველნო და დამამჯობელნო მტერთა*

[10] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1965, გვ. 50–54.

სამეფოთანო, ჟამი არს წინამდებარისა საქმისა აღსრულებად“.

ამის შემდეგ ყველა ერთად მიდიოდნენ შემდეგი თანმიმდევრობით: *„წინათ ზარი მეფეთა და შემდგომად დროშა და შუბი, შემდგომად მთავრდიაკონი და ჯუარის–მტკვრთველი, მეფე და ლაშქარნი“.* მეფე დიდებულების გარემოცვაში იყო. მარჯვნივ სამხედრო უწყების წარმომადგენლები იდგნენ, მარცხნივ სამოქალაქო უწყებისა და საქვეყნოდ გამრიგე მოხელეები. *„ამირსპასალარი, ჯრმალ–შემორტყმული, მარჯუენით კერძო ჰყვებოდეს და საეფო ჯრმალი ორთავე ჯელთა ზედა ეტვირთოს“.* ასევე ამირსპასალართან ერთად ამილახორი და მეაბჯრეთ–უხუცესი ჯრმალ შემორტმულები მიდიოდნენ. ხოლო მარცენა მხარეს ჭყონდიდელი, ათაბაგი და სხვა მთავრები მიდიოდნენ. რაც შეეხება მანდატურთუხუცესსა და ჯუარის-მტვირთველს, ისინი მეფეს წინ მიუძღოდნენ. ბოლოს მეფის უკან მიდიოდნენ ეზოსუხუცესი, ჩუხჩარეხი, მეაბჯრეთუხუცესი სამეფო ლახტითა და ქარქაშით. ამ წესით უნდა წასულიყვნენ ეკლესიაში, სადაც მეფედ კურთევის ცერემონია ჩატარდებოდა.

ეკლესიის კარებთან მეფეს კათალიკოზი უნდა დახვედროდა „თავმოდრეკილი“ და ხმამაღლა ეთქვა მეფისთვის: *„კურთხეულ არს მოსვლა თქვენი და დამტკიცება მეფეთ-მეფედ სამეფოსა ამას თქუენსა ზედა, და განმტკიცნეს ღმერთმან შიშისა და სარწმუნოებისა მისსა ზედა, და დაგმორჩილნეს ყველანი მტერნი და წინააღმდგომნი სამეფოსა ამის თქუენისანი, ქუეშე ფერჯთა თქუენნთა. და თქვას ყოველმან ერმან: „ამინ“.*[11]

მეფე „მდაბლად“ თაყვანს სცემდა კათალიკოზს და ეკლესიაში შევიდოდა, მისი მარჯვენა ხელი კათალიკოზს უნდა სჭეროდა, მარცხენა იშხნელს, ან მთავარეპისკოპოზს. ეკლესიაში მეფეს „სამეფოსა ადგილსა“ დააყენებდნენ და „იწყონ აღმოკუთად სეფესა“. წირვის დაწყებამდე ამირსპასალარი „სამეფო ჯრმალს“ ჯვრისმტვირთველს გადასცემდა, რომელიც საკურთხეველში ძელსა ცხორებისაზე

[11] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 51.

მიყრდნობილი იდო. დროშა და შუბი კი საკურთხევლის კარების წინ ეჭირათ. ამის შემდეგ მთავარეპისკოპოზი საკურთხევლიდან ბისონს აიღებდა, მეფეს თავს დაუხრიდა და ორივე მუხლზე დაკეცილ ბისონს დაუდებდა. მეფე კათალიკოსთან მიჰყავდათ, თავმოდრეკილ მეფეს კათალიკოზისათვის უნდა მიემართა: *„მაკურთხე მეუფეო“*, ამის შემდეგ კი კათალიკოზი მეფეს ჯვარს გადასწერდა და იტყოდა: *„კურთხეულ-არს მეფობაჲ თქუენი დასასრულამდე ჟამთა და განამტკიცენ სარწმუნობასა მისსა ზედა მიუდრეკლად“*,[12] შემდეგ მეფეს ბისონს ჩააცვამდა, ჯვარს გადასწერდა და მეფე თავის ადგილს დაუბრუნდებოდა.

ამის შემდეგ იკითხებოდა სახარება, მეფეს ორივე მხარეს ეპისკოპოზები ედგნენ და მას შემდეგ, რაც მეფე საკურთხეველს სამჯერ ეთაყვანებოდა შიგნით შეჰყავდათ, აქ მეფეს კათალიკოზის წინაშე მუხლი უნდა მოეყარა. მეფეს თავზე ომფორს დაადებდნენ, კათალიკოზი ჯვარს გადასწერდა და იტყოდა: *„საღმრთო მადლი, რომელი ყოვლადვე უძლურებათა ჩუენთა ჰკურნებს და ნაკლულებასა ჩუენსა აღავსებს და განაჩინებს ღმრთის მოშიშსა სახელით ერსა და სამეფოსა ამას ზედა მეფედ-მეფედ და გარე შეარტყამს საღმრთოსა ძალსა მისსა, ვილოცოთ ყოველთა, რათა დაიმკვდროს მის თანა მადლმან ყოვლად წმიდისა სულისამან“*[13] ეკლესიაში მყოფნი ხმამაღლა ამბობდნენ „კირიელეისონ“. ამის შემდეგ კათალიკოსი საკურთხევლიდან იღებს გვირგვინს და დაადგამს მეფეს თავზე, თან წარმოთქვავს სავედრებელს: *„დაადგ თავსა მისსა გვრგვნი ქვსა მისგან პატიოსნისა, ცხორება გთხოვა შენ, და მიეც მას განგრძობა დღეთა უკუნისი უკუნისამდე“.*[14] მეფეს პორფირს ჩააცვამს კათალიკოსი, აიღებს სკიპტრას და მისცემს მარჯვენა ხელში. მეფეს ტრაპეზის მარჯვენა მხარეს ორხოაზე დააყენებდნენ და მგალობლები კი მეფისთვის წარმოთქვავდნენ: *„მრავალჟამიერ*

---

[12] იქვე, გვ. 52.
[13] ქართული სამართლის ისტორია. ტ. II, გვ. 52.
[14] იქვე, გვ. 53.

ჰყვენ, ღმერთო, მეფეთ-მეფე ჩუენი (სახელდებით) მრავალჟამეულ ჰყვენ".[15]

მღვდელმთავართა ზიარების შემდეგ და მღვდლებზე წინ მეფეს აზიარებდნენ. შემდეგ ვკითხულობთ, რომ მეფე საკურთხევლის კარიდან ჩამოვიდოდა ამირსპასალარი ხმალს შეარტყამდა და საეკლესიო კურთხევა მთავრდებოდა. მეფე დიდებულებთან ერთად კვლავ სასახლეში ბრუნდებოდა იმავე წესის მიხედვით როგორც წამოსვლისას, ამ შემთხვევაში განსხვავება იყო ის, რომ სამოფო ნიშნები თვითონ მეფეს ეჭირა და მისი მარჯვენა ხელი კათალიკოზს ეჭირა, მარცხენა ხელი კი ჭყონდიდელს. სამეფო სასახლეში შესვლისას მეფეს კათალიკოზი და ჭყონდიდელი მიაცილებდნენ და დასვავდნენ ტახტზე, მაგრამ მეფის გვედით მხოლოდ ჯვარისმტვირთველი რჩებოდა იქამდე, სანამ „ლაშქართა თაყვანისცემა და ძღუენის შეწირვა" არ დაიწყებოდა, შემდეგ ისიც ტოვედება მეფეს. როგორც ჩანს ეს უკვე ნიშნავდა მილოცვას. შემდეგ კი ვკითხულობთ: *„პირველად დედოფალმან თაყუაბი–სცეს, მერმე–ღა კათალიკოზმან, ჭყონდიდელმან, ათაბაგმან, მანდატურთ–უხუცესმან, ამირსპასალარმან, მეჭურჭლეთუხუცესმან, მსახურთ–უხუცესმან და შემდგომად ჴელოსანთა და უჴელოთა დარბაზისიერთა სრულიადთა".* [16] მილოცვა რომ დამთავრდებოდა იწყებოდა „პურობა". როგორც ჩანს მეფის კურთხევის დღესასწაული სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა, რადგან ვკითხულობთ: *„ხოლო ყოველთა დღეთა სამ დღემდის მეფე ტახტსა ზედა ჯდეს გვრგვნითა და პორფირითა. ხოლო ესე საცნაურ იყავნ, რომელ თჳნიერ კათალოკოზისა არა ვისგან ჯერ–არს კურთხევა".*[17]

მოცემული ძეგლი ერთ-ერთი უნმიშვნელოვანესი წყაროა, რომელიც მეფედ კურთხევის ცერემონიას თითქმის სრულყოფილად გადმოგვცემს, ძეგლის შინაარსში ბევრი საყურადღებო ფაქტია დაცული. ტექსტიდან ვიგებთ, რომ მეფედ კურთხევა ნამდვილად საერო და საეკლესიო წესების გაერთიანებით ხდებოდა. მიუხედავად

[15] ივ. ჯავახიშვილი. თხულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, თბ. 1984, გვ. 153.
[16] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 53.
[17] იქვე, გვ. 54.

იმისა, რომ აღნიშნული ძეგლი ძალიან მნიშვნელოვანია მაინიც არის რამდენიმე საკითხი რომელზეც აქ პასუხს ვერ ვპოულობთ. პირველი, ეს არის დედოფლის (ან მეფის მეუღლის) და საერთოდ სამეფო ოჯახის ცერემონიაში მოუხსენებლობა. მეფის მეუღლე მხოლოდ მილოცვის დროს ჩანს, დანარჩენ შემთხვევაში კი არსად იხსენიება. მეფის მშობელიც არ იხსენიება ასევე, მამა თუ გარდაიცვალა და შესაბამისად შვილმა დაიკავა ტახტი მაშინ მეფის ბიძა ან მამიდა ან საერთოდაც ვინმე ნათესავი რატომ არ იღებდა მონაწილეობას, ან რატომ არ ჩანდა ცერემონიაში. შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ დედოფალი კურთხევას არ ესწრებოდა, მაგრამ, თითქოს, არადამაჯერებელია. იქნებ უბრალოდ გამორჩათ და არ მოიხსეინეს დედოფალი იმ დროს, როდესაც ის ტაძარში იყო და ესწრებოდა მეფედ კურთხევას, ამ ცერემონიას ხომ თითქმის ყველა დიდებული ესწრებოდა. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ზუსტად ვერაფერს დავამტკიცებთ. შესაძლოა უბრალოდ დაკარგულულია აღ ნიშნული მონაკვეთი, ან გადაწერის დროს გამორჩათ. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტი კი „ცხების“ და „ცხებულობის“ მოუხსენებლობას ეხება, რომელიც საეკლესიო კურთხევის დროს ეს ერთ–ერთი რგოლი უნდა ყოფილიყო ცერემონიის სრულყოფილად ჩატარებისთვის. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, მეფეს „ცხებულს“ უწოდებდნენ მისი „ცხებაც“ უნდა მომხდარიყო, რადგან ყველა ნაკურთხი მეფე „ცხებულად“ იწოდებოდა.[18] მაგრამ კურთხევის ამ ცერემონიაში ეს ფაქტი ან გამორჩენილია, ან შესაძლოა გადწერის დროს იყოს რაიმე უზუსტობა დაშვებული და დაკარგული ეს დეტალი. მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენამდე მოღწეულ ამ ისტორიულ ძეგლში „ცხების“ შესახებ არაფერია ნათქვამი.

რაც შეეხება თამარ მეფის ისტორიკოსთან დაცულ ცნობას, რომელიც თამარის მეფედ კურთხევის შესახებ მოგვითრობს ის განსხვავდება „წესი და კურთხევა მეფედ კურთხევისგან“. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, აფხაზთა მეფეების დროინდელი წესების კვალი აღარ ჩანს, მეფეს უკვე ქართლის კათალიკოს–პატრიარქი ადგამს

[18] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, გვ. 154

გვირგვინს და არა ქუთათელი მთავარეპისკოპოსი. ასევე საყურადღებოა, რომ „სამეფო ხრმლის“ წელზე შემორტყმის წესიც შეცვლილია, აქ უკვე ამისპასალარია ის ფიგურა, ვინც მეფეს ხრმალს არტყამს და არა ლიხთიმერეთის აზნაურთა საგვარეულოს წარმომადგენელი. [19] ეს კი მიგვანიშნებს, რომ დასავლეთ საქართველოს დიდებულებმა ეს უფლება დაკარგეს და ერთიანი საქართველოს მეფეს უკვე სრულიად საქართველოს სამხედო მეთაური, ანუ ამირსპასალარი გადასცემს ხმალს. რაც ასევე ნიშანია მეფის ხელისუფლების გაძლიერების.

ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლაშქარს, რომელიც მეფის თანასწორ მეორე ძალად არის მოხსენიებული. ჯვარისმტვირთველი თავმოდრეკილი მიმართავს მეფსაც და ლაშქარსაც. ფორმულა „ძლიერი და უძლეველი“, როგორც წესი მეფის კუთვნილება იყო და ხშირად ფიქსირდება ხელნაწერებსა და წარწერებში. როგორც ვხედავთ, ლაშქარი ერთ–ერთი მნიშვნელოვანი რგოლი იყო მეფედ კურთხევის ცერემონიაში. ეს გარემოება გასაკვირი არც არის, რადგან ნებისმიერ მონარქს სჭირდება ძლიერი სამხედრო ძალის მხარდაჭერა.

საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი, არსებოდა თუ არა რაიმე წესი, რომელიც განსაზღვრავდა რომელ ტაძარში უნდა ეკურთხებინათ ეს თუ ის მეფე. ასეთი ინფორმაცია სამწუხაროდ ისტორიულ ძეგლებში შემონახული არ არის. სავარაუდოდ სხვადასხვა ტაძრებში უნდა მომხდარიყო მეფედ კურთხევა, რადგან საუკუნეთა მანძილზე საქართველოში ერთმანეთზე უფრო დიდებული ტაძრები იგებოდა. ამ მოსაზრების გამყარება შეგვიძლია იმ მცირე ინფორმაციით, რაც გვაქვს შემორჩენილი. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“ ვკითხულობთ, რომ გიორგი II რუისში უკურთხებიათ მეფედ, თამარ მეფე პირველად ნაჭარმაგევს, ხოლო გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ თბილისში.[20] სად აკურთხეს დავით აღმაშენებელი ან დემეტრე I ჩვენ ზუსტად არ ვიცით, რადგან წყაროებში არ არის დაფიქსირებული. დავითის

[19] იქვე, გვ. 154–155.
[20] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. გამოსცა გ. კარტოზიამ, გვ. 398–400.

ისტორიკოსთან ვკითხულობთ: *„მას ჟამსა, რომელსა იყო ჰასაკითა ათექუსმეტის წლის, ამას, მარტოდ-შობილსა გიორგისგან, თვთ მამამან დაადგა გვრგვნი მეფობისაჲ“.*[21] შემდეგ კი დემეტრე მეფის გამეფებას ასე გადმოგვცემს: *„ამანცა თვსითა ჴელითა დასუა საყდარსა თვსსა ძე თვსი დემეტრე, . . . და დაადგა თავსა შუენიერსა გვრგვინი ქვათაგან პატიოსანთა, . . . და შეარტყა წელთა ძლიერთა მახვილი, ეჰა რაბამ სვიანად ჴმარებული! და შეჰმოსა პორფირი მკლავთა ლომებრთა და ტანსა ახოვანსა“.*[22] როგორც ვხედავთ, დავითის ისტორიკოსი არც მეფედ კურთხევის ადგილს ასახელებს და არც თვითონ ცერემონიაზე ამბობს რაიმეს. არც ლაშა–გიორგის დროინდელი მემატიანე აღნიშნავს სად და როგორ ხდებოდა მეფედ კურთხევა. კერძოდ ვკითხულობთ: *„დასუეს მეფედ ძე მისი დავით. იმეფა ექუს თვე და მოკუდა. შემდგომად მისა დაჯდა ძე მისივე გიორგი ქორონიკონსა სამას სამოცდათხუთმეტსა“.*[23] გიორგი ლაშას გამეფებას კი ორი სიტყვით გადმოგვცემს: *„[იყო] ათორმეტისა წლისა, ოდეს მეფედ დაჯდა, ნერგი კეთილმოზარდი და ყუავილი“.*[24] რაც შეეხება რუსუდან მეფის კორონაციას, ჟამთააღმწერალი „ასწლოვან მატიანეში“ საინტერესოდ აღწერს ამ მოვლენას. მასთან ვკითხულობთ: *„შეკრბეს წარჩინებულნი მის სამეფოსანი, იმერნი და ამერნი, კათალიკოზთა ორთავ წინაშე, ნიკოფსით ვიდრე დარუბანდამდე, ყოველნი მორჩილებასა მათთა ქუეშე მყოფნი, და მეფედ ყვეს რუსუდან, დასუეს საყდართა სამეფოთა და მიულოცეს მეფობა წესისაებრ“.*[25] უკანასკნელი სიტყვები გვაფიქრებინებს, რომ „წესისაებრ მილოცვა“, შესაძლოა, სწორედ მეფედ კურთხევის ცერემონიის ნაწილს წარმოადგენდეს, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ცერემონიის შესახებ ჟამთააღმწერელი არაფერს წერს, ზოგადად მეფედ კურთხევის ცერემონია მოიცავდა მილოცვას, რომელის შედეგად, რეგლამენტირებული წესის მიხედვით, მეფეს ტახტზე

[21] ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი. გამოსცა მზ. შანიძემ, გვ. 307.
[22] იქვე, გვ. 347.
[23] იქვე, გვ. 352.
[24] ლაშა-გიორგის მემატიანე. გამოსცა ც. ქურციკიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ.2008, გვ. 355.
[25] ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. გამოსცა გ. ალასანიამ. ქართლის ცხოვრება. თბ.2008, გვ. 535.

ასვლას ულოცავდნენ.

მას შემდეგ, რაც ერთიანი საქართველოს ტერიტორია სამეფო–სამთავროებად დაიშალა ქართველი მეფეები თავიანთ სამფლობელოებში ეკურთხებოდნენ მეფეებად. XVI-XVIII საუკუნეების მეფედ კურთხევის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით, ცერემონიის დეტალები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ სავარაუდოდ, XIII საუკუნეში მიღებული „წესი და განგების“ მსგავდად უნდა მომხდარიყო.

კახეთი და ქართლი ურჯულო მტრების შემოსევებს საუკუნეების მანძილზე უმკლავდებოდა, მაგრამ ოსმალთა და ირანელთა ბატონობის დროს ქართლსა და კახეთში ქრისტიანული წესით მეფეები ვეღარ ეკურთხებოდნენ. დიდი ხნის შემდეგ, როდესაც შაჰმა ნება დართო მეფედ კვლავ ქრისტიანული წესით ეკურთხებინათ, ძველი წესის გახსენება დასჭირდათ, რადგან უკვე დავიწყებული ჰქონდათ.

რაც შეეხება თვითონ მფედ კურთხევის ცერემონიას, რომელიც XVIII საუკუნის მეფედ კურთხევას აღწერს დაცული არის პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანიში“. კერძოდ, 1745 წლის პირველ ოქტომბერს ქართლის მეფე თეიმურაზ II მეფედ უნდა ეკურთხებინათ ქრისტიანული წესით, კურთხევის ცერემონია სვეტიცხოველში უნდა ჩატარებულიყო. ავტორი დაწვრილებით აღწერს როგორ აკურთხეს მეფე. პაპუნა ორბელიანი წერს: *„იწყო მზადება მეფემ კურთხევისა და მოიწვივნა ყოველგნით დასნი სამღვდელონი ... გაგზავნა კაცი ბატონმა კახეთს და მოიწევნა ძე თვისი, მეფე კახეთისა ერეკლე და დედოფალი ანნა კახეთის დარბაისლით კურთხევისათვის ... ბრძანა მეფემ დროშათა გაკეთება, გააკეთეს ვითაც ძველად რიგი ყოფილიყო, დროშა ოთხი ჯვრითა მოცული...გაემართნენ მცხეთას მეფენი ორნი და დედოფალნი, ერნი და დარბაისელნი ქართლისა და კახეთისანი სახლეულითურთ, აგრეთვე დასნი სამღვდელონი სრულიად...ანტონი კათალიკოზი, კეთილ–სათნოებითა აღჭურვილი, ტრფიალებითა სახენაოთა ზედმიწევნითა აღზენებული და ყოვლად სარწმუნოებითა მტკიცედ დამტკიცებული, მადლითა მიერ გაბრწყინებული, არ*

დააცადებდა ჟამითი ჟამად სიბრძნე მრავლობით წესითა და მართლად გამოიკვლევდა წერილთაგან კურთხევასა მეფისასა ... ორი დღე დაიყოვნა და განაწესნა ყოველნი სამღვდელონი ანუ საერონი და წესნი დღისა მისისანი მზა ჰყვნა ყოველნი. დღესა მესამესა გამობრძანდა ბატონი გარეთ საყდარს წინ, ანტიოქიასა, ზემორე სეფე იდგეს დიდი და სეფესა გვერდით სევანი დაედგნეს, დაბძანდა სევანსა შინა და ეგრეთ იახლნეს დარბაისელნი, ვინა ჯდა, მისა ღირსი იყვნეს, ვინა დგომისა, ეგრევ ყოველნი განაწესნეს. მოიტანეს სამეფო შესამოსელი, პორფირი, ბისონი და დიადემა ბოხჩებით, აგრეთვე გვირგვინი, ჴმალი, სკიპტრა და ქვეყანისა სფეროი. ესე ყოველი ამიერ და იმიერ მოუწყვეს. ამის შემდგომად მოვიდა მთავარეპისკოპოსი არსენ შემოსილი, მთავარ დიაკონნი წინა უვიდოდეს კმევითა საკმეველისათა, აგრეთვე ჯვარისა მტვირთველსა ჯვარი პატიოსანი აღემართნეს და მგალობელთა დასნი მოუზღოდეს და გალობდენ გალობასა ჯვრისასა. მოვიდნენ წინაშე მეფისა და თაყვანისცეს და ეანბორნეს მეფეს. ხოლო აღიღეს ერთი ეს სამეფო შესამოსელი და იარაღი, მოსცეს მთავარ–ეპისკოპოსს, იტვირთა ორთა მკლავთა და წამოვიდნნენ ეგრეთ გალობითა, შეიტანეს ეკლესიასა შინა, დარეკეს მწუხარისა, წამობრძანდა მეფე ეკლესიასა, ჰკრეს ქოსთა და სპილენძ–ჭურთა, მოეგებნენ ეპისკოპოსნი ყოველნი მდინარით მოსილნი ბატონს წინ და თაყვანისცეს და იწყეს ლოცვა მწუხრისა, განსრულდა ლოცვა მცირედი. დაიყოვნეს და შევიდნენ ეკლესიასა. იყო ღამის თევით გარდაჴდა, იყო დღესასწაული სვეტიცხოვლისა დღე, იყო ის დღე და მეფის კურთხევის რიგიც შესძინეს. ყოვლად ნეტარმა ანტონი პატრიარქმა არად კლებულ ქმნა მრჩობლ დღესასწაული, ყოველივე სრულიად გარდაიხადა პურის კურთხევით, სანთლის გაყოფით, ზეთის ცხებით და ყოვლისა წესითა განაბრწყინვა ეკლესია. გათენდა დილა, მოფარდაგნეს სეფე და მოიტანეს დროშანი ოთხნივე და აღმართნეს სეფესა წინა და თვის თვისი ჯარი გარსშემოეხვივნენ. მობძანდა ბატონი და დაბძანდა სეფესა შინა. ამისა შემდგომად მოვიდნენ დასნი სამღვდელონი შემოსილნი, კარისა დეკანოზსა ხატი

პატიოსანი თავსა ედგა, ჯვარისმტვირთველსა ჯვარი ეპყრა, მთავარდიაკონნი აკმევდეს საკმეველთა, მღვდელნი უკანა უვიდოდეს. ყოველთა დიდრონი ლამპარნი ეტვირთვნეის და მგალობელნი გალობდენ. მოვიდნენ ეგრე და ბატონს თაყვანი სცეს. რაც ყიზილბაშნი ქალაქს იყვნეს, ყოველნივე ნახვად მოსულიყვნეს და იქ ისხდნეს. დგა პატრიარქის არქიდიაკონი და ბატონს დიპტვილა მოახსენა და ქება შეასხა. გამობრუნდა და ბატონს მეფობით ნუგეშისცა და მიიწვივეს ბატონი ეკლესიად. წარუძღვნენ ეგრეევ დასნი სამღვდელონი, ჰკრეს ქოსთა და სპილენძ-ჭურთა, უწინარეს ყოველთა მორთულთა აქლემთა კიდებულ ნიქოს-ნაღარანი და სპილენძ-ჭურნი მიუძღოდეს და ამას დროშა სარდლისა მისდევდეს. მარქათანიშე კაზმულნი ამას შეუდგნეს, გამგენი კარისანი, მახლობელ წინაუძღოდა სიძე თვისი დიმიტრი ორბელიანი, რომელი იყო მანდატურთუხუცესი და განმგე დიდებულისა კარისა. აგრეევე წინა უძღოდა ზაალ ორბელიანი, რომელსა ებარნეს წინამძღოლნი, მეთოფენი მეფისანი, მობძანდებოდა ბატონი, მარჯვნივ მკლავი სარდალს ქაიხოსრო ორბელიანს ეპყრა და მარცხნივ მკლავი მუხრანის ბატონს კოსტანტინეს. უკანა მახლობელ მოსდევდეს დიდებულთა კაცთა შვილნი, ტვირთულნი სააბჯროთა იარაღითა, ყოველივე იარაღნი მეფისანი თითო თითოსა შეიპყრნეს და ეგრე მოსდევდეს. აგრეევე სამივ დროშა ნითვისის ჯარებით ამიერ და იმიერ მოსდევდეს. რა მიეახლნეს ეკლესიასა, სამი დროშა მარტივად კარზე დააყენეს და ჯარი იარაღით ეკლესიასა შევიდნენ. ბატონის დროშა მორდალს დავითს ეჭირა. შეიტანეს საყდარსა და აღსავლის კარზე დააყენეს. კარის ბჭეში მოეგებნეს ბატონს პატრიარქი შემოსილი და ეპისკოპოსნი ანუ სამღვდელონი, ყოველნი, თაყვანისცეს, ცალკერძ პატრიარქი მოუდგა, ცალკერძ მთავარეპისკოპოსი. სამღვდელო დასნი წინ შეუძღვნეს ხატითა. ჯვარის წინაძღოლითა და ლამპრები თამთებარითა და ეგრე გალობით შეიყვანეს ეკლესიასა შინა. ფიანდაზი ეშალა კარით განსაყდრისა შუაგულობამდის. პირველად მოიყვანეს, აღსავლის კარის ქვემორე დააყენეს, ეპისკოპოსნი ყოველნი ამიერ და

იმიერ მოუდგნეს, აგრევე სომეხთა დასნი და ფრანგნი ყოველნი იდგნენ შემოსილნი და გაკრძალულ ისმენდეს. პატრიარქმან ჰკითხა მეფეს სარწმუნოება და მერე აღთქმისა ეპისტოლე წაუკითხა. მერე წამოუძღვანეს წინ და საყდრისა შუაგულობას ტახტი იდგა დიდი. ოთხი ხარისხი შეივლიდა, აიყვანეს, ორი სელი იდგა, ერთზე მეფე დაბძანდა და მეორეზე პატრიარქი, ცალკერძ მთავარეპისკოპოსი და ცალკერძ ალავერდელი, სხვანი ეპისკოპოსნი ექვსი ამიერ და ექვსი იმიერ განეწყვნეს. ამისა შემდგომად მოიტანეს მარტივი ბისონი და ჩააცვეს, დაიწყეს წირვა. ოდეს მოვიდა ჟამი, წაბრძანდა პატრიარქი, შებრძანდა წმიდა წმიდათასა, ამისა შემდგომად მიიწვივეს მეფე საკურთხევლად, ცალი მკლავი სარდალს ქაიხოსროს ეპყრა და მეორე მკლავი - მუხრან ბატონს, აღსავლის კარზე მთავარ-ეპისკოპოსი და ალავერდელი მოეგებნეს და შემოყვანეს საკურთხევლად, სცხეს საცხებელი შუბლთა, ბეჭთა და გულთა ჯვარის სახედ. თქვა პატრიარქმა სამღთო მადლი და შემდგომი ამისა, ბისონსა ზედა ჩააცვეს დიადიმა, წამოასხეს პორფირი, დაადგეს გვირგვინი სამეუფო, მისცეს მარჯვენასა ჯელსა სკიპტრა და მარცხენასა ჯელსა -- ქვეყნისა სფერო, ხოლო მოვიდა ჟამი წმიდისა ზიარებისა. პირველად სამღვდელო დასნი ეზიარნეს და მერე გარდმოასვენეს წმინდა ბარძიმი და მიიღო მეფემ წმინდა ზიარება პატრიარქისა ჯელითა ... განსრულდა ჟამის წირვა, გამობძანდა მეფე ცხებული საკურთხევლით, ცალკერძ პატრიარქს ეპყრა მკლავი, ცალკერძ მთავარ-ეპისკოპოსს. მოიყვანეს, მარჯვნით კერძო სამეფო ტახტი იყო, იქ დაბძანდა. მიიტანა სარდალმა ქაიხოსრო ორბელიანმა, რომელი იყო ამირსპასალარი, ჯმალი მეფისა, დაულოცეს და შემოარტყეს. პირველად მივიდნენ დასნი სამღვდელონი და ჯელთა ეანბორნეს, მერე მივიდნენ დარბაისელნი, გუნდნი ერთანი და ჯელთა და კვარცხლბეკთა ეანბორნეს".[26]

როგორც ვხედავთ, ანტონ კათალიკოსს წინასწარ შეუსწავლია მეფეთა კურთხევის ძველი წესი და მის მსგავსად ჩაუტარებია საეკლესიო ცერემონიალი. ფაქტობრივად,

[26] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. თბ. 1981, გვ. 102–106.

XVIII საუკუნეში ქართლსა და კახეთში მეფედ კურთხევის „ახალი წესი“ შემუშავებულა, რომელიც ლიტურგიული თვალსაზრისით ძველს ჰგავდა, თუმცა კურთხევისას მეფის ირგვლივ მყოფი მოხელეების განლაგებისა და მათი ფუნქციის თვალსაზრისით, ახალ დეტალებს შეიცავდა. მაგრამ ის ძირითადი ბაზისი, რაც XIII საუკუნეში იყო კვლავ შემორჩენილია. ასევე უნდა ღინიშნოს ის დეტალი, რომ ამ შემთხვევაში წყაროში მეფე „ცხებულადაა“ მოხსენიებული, როგორც ჩანს ძველი წესის შესრულება არ დავიწყებიათ, ეს კი ადასტურებს, რომ „წესი დანგებაში“ გამორჩენილი უნდა იყოს ეს დეტალი. ასევე შევეხოთ სამეფო ოჯახის როლს ამ ცერემონიაშიც. წყაროში ვკითხულობთ: „ *შებრძანდა საყდარსა, გარემოს სევანი იდგნეს ოქსინოთა მოფარდულნი, დაბძანდა მას შინა და დიდებულნი თავშიშველნი თავს იდგნეს და მიბრძანდა დედოფალი და მიულოცა და გარააყარ გუარი. მერე მიბრძანდნენ უფლისწულნი, მიულოცეს, აგრეთვე ჯალაბნი დარბაისელნი მივიდნეს და მიულოცეს. გათავდა რიგი მილოცვისა.“* [27] როგორც ვხედავთ ამ შემთხვევაშიც დედოფალი პირველი ულოცავს და უფლისწულებიც მილოცვის დროს არიან პირველად მოხსენიებულნი. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ სწორედ ასეთი იყო ტრადიცია და წესი, რომელიც დედოფალს უნდა შეესრულებინა მეფედ კურთხევის ცერემონიაში. რა თქმა უნდა, დიდი პატივი იყო პირველს მიელოცა თანამეცხედრისთვის.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეფედ კურთხევის ცერემონია იყო საერო და სასულიერო რიტუალების ერთობლიობა, რომელიც ტრადიციულად საზეიმოდ ტარდებოდა. ამ ცერემონიაში მონაწილეობას იღებდნენ სამეფო კარზე მყოფი დიდებულები, მათი მონაწილება ერთი მხრივ აღნიშნავდა იმას, რომ მეფეს პატივს სცემდნენ და აღიარებდნენ მის უფლებებს, მეორე მხრივ, კი ასევე მეფისთვისაც მნიშვნელოვანი იყო დიდებულების მონაწილეობა, რადგან ნებისმიერ მეფეს სჭირდებოდა აღიარება და თანადგომა. სხვადასხვა დროს სამეფო კარზე უმაღლესი

[27] იქვე, გვ. 106.

ხელისუფლების განმახორციელებელი სახელო ემატებოდა, ეს დაკავშირებული იყო ბიუროკრატიული აპარატის დახვეწასთან. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ყველა მოხელეს ჰქონდა მკაცრად რეგლამენტირებული მოქმედების უფლება–მოვალეობები.

ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვითოეულ სამეფო ხელისუფლების ნიშანს, რომლითაც ხდებოდა მეფის კურთხევა. ზემოთ მოტანილი ცნობებიდან შეგვიძლია დავასახელოთ ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც აუცილებელი იყო მეფედ კურთხევის ცერემონიის დროს.

პირველი და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სამეფო გვირგვინია, ის უნდა ყოფილიყო ძვირფასი ქვებით შემკული. სავარაუდოდ, გვირგვინიის ფორმა და შემკულობა დროთა განმავლობაში შეიცვლებოდა, მაგრამ ფუნქცია და მნიშვნელობა ყოველთვის იგივე ჰქონდა. მეფე ხშირად „გვირგვინოსნად“ იწოდებოდა, შესაბამისად, აქედანაც ჩანს რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ რეგალიას.

მეორე ნიშნად შეგვიძლია დავასახელოთ ჯრმალი ანუ მახვილი. ეს ნიშანი ერთგვარად მიგვანიშნებდა, რომ მეფე ქვეყნის მთავარსარდალიც იყო დიდ მნიშვნელობა ჰქონდა ამ სამეფო ნიშანს.

მეფის სამოსი გასხვავებული უნდა ყოფილიყო, მის ზედა სამოსელს პორფირი ეწოდებოდა, ის ბისონის ზემოდან ეცვათ მეფეებს და ძვირფასად გაფორმებული უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება მეფობის ძველ და მთავარ ნიშანს „სკიპტრა“ წარმოადგენდა. მეფეს „სკიპრტისმყრობელი“ ეწოდებოდა.

სამეფო ტახტი ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი ყოფილა, ის იყო მეფის დასაბრძანებელი, სადაც სხვას არავის ჰქონდა უფლება დაბრძანებულიყო. თვითონ სიტყვა „ტახტი“ სპარსულიდან შემოვიდა, მისი ქართული შესატყვისი კი „საყდარი“ და „საჯდომი“ ყოფილა. სამეფო საყდარსაც და საჯდომსაც სხვადასხვა სახეობისა და მოყვანილობისას ხმარობდნენ. რასაკვირველია მეფე ძვირფასად გაფორმებულ

ტახტზე უნდა დაბრძანებულიყო.

„ძელი ცხოვრებისაჲ“ იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეფო ნიშანი. ეს იყო უპირველესად იმის ნიშანი, რომ მეფე ქრისტიანი იყო და ცერემონიასაც ქრისტიანები ატარებდნენ ქრისტეს ჯვრის ძალითა და მადლით. ითვლებოდა, რომ ქრისტეს ჯვარი იცავდა მეფეს, ისევე როგორც მის მხლებლებს და სრულიად მართლმადიდებელ სამეფოს. ცერემონიის ეს დეტალი ისეთი მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ განსაკუთრებული მოხელე „ჯუარისმტვირთველი“ არსებობდა.

სამეფო დროშა ისტორიულ წყაროებში ხშირად გვხვდება. ის სხვადასხვა დროს იცვლებოდა. ვიცით, რომ მეფე ვახტანგ გორგასლის დროშას „გორგასლიანი“ ეწოდებოდა. დავით აღმაშენებლის დროშას „დავითიანი“. ასევე თავიანთი დროშები ჰქონიათ ამირსპასალარებსაც და ერისთავებსაც. ჟამთააღმწერელი სახელმწიფო დროშას „დროშა სამეფოდ“ და „დროშა სეფედ“ მოიხსენიებს. ეს იყო საქართველოს უზენაესი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სიმბოლო, რომელიც მემკვიდრეობით გადადიოდა კანონის მიხედვით სახელწიფო ტახტის მემკვიდრეზე.[28] დროშის ტარს „ბუნი“ ერქვა, ან „ბუნი დროშისა“,[29] ხოლო თვით ტილოს – „ალამი“. დროშას ასევე ჰქონია თავი და თავისი ბუდე. რა ფერის იყო ქართული დროშა ქართულ წერილობით წყაროებში არაფერია ნათქვამი. უცხოელ ისტორიკოსებთან და მოგზაურებთან კი ვხვდებით ჩვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. XIII საუკუნის საქართველოს სახელმწიფო დროშა თეთრ და წითელ ფერში ყოფილა, ბუნი თეთრი და ალამი მუქი შინდისფერი.[30] სახელმწიფო დროშა დღესდღეობითაც ინარჩუნებს თავის ფუნქციას და წარმოადგენს ქვეყნის ერთიანობის და ეროვნულობის სიმბოლოს. კიდევ ერთი სიმბოლო იყო სახელმწიფო ბეჭედი, რომელსაც მეფე ფლობდა.

როგორც ვხედავთ, ყველა ნივთს თავისი დანიშნულება ჰქონდა და მეფედ

---

[28] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, გვ.158.
[29] ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. გამოსცა გ. ალასანიამ, გვ. 571.
[30] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, გვ. 160.

კურთხევის ცერემონიაში დიდ როლს ასრულებდა. სამეფო ნიშნები, დიდებულები და სასულერო პირები, ყველა ერთად განუყოფელი ნაწილი იყო ცერემონიის. მიუხედავად სხვადასხვა ცვლილებებისა, რომელსაც პოლიტიკური ცხორება განაპირობებდა, გარკვეული სახის ცერემონია ყოველთვის არსებობდა და მეფედ კურთხევა დიდი დღესასწაული იყო ქართველებისთვის, ხოლო მასში მონაწილეობის მიღება კი დიდი პატივი.

II თავი

სამეფო დარბაზობა

სამეფო დარბაზობა წარმოადგენდა ერთგვარ ცერემონიას, რომელიც იმართებოდა სამეფო კარზე. რას ეწოდებოდა დარბაზობა და ვინ მონაწილეობნენ მასში ცნობები შემონახულია ქართულ ისტორიულ წერილობით წყაროებში, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ. რაც შეეხება თვითონ სიტყვა დარბაზს, ის არ არის ძველი ქართული სიტყვა და შემოსულია სპარსულიდან, „დარვაზეჰ“ ნიშნავს სახლის კარს ან ალაყაფის კარს. ქართულში ეს სიტყვა მეფის ან მბრძანებლის სასახლეს ნიშნავდა. ამასთან დარბაზს სასახლის ისეთ ოთახს უწოდებდნენ, სადაც სახელწიფო საქმეების გამო მეფის და დიდებულების თანდასწრებით სხდომა იმართებოდა. თვითონ სპარსულში ეს სიტყვა კარს ნიშნავდა, სავარაუდოდ ქართულშიც ასეთივე მნიშვნელობით შემოვიდა „სამეფო კარი“ ჩაანაცვლა „სამეფო დარბაზმა“. ეს ტერმინი X-XI საუკენეზე ადრე არ არის დაფიქსირებული წყაროებში. კიდევ ერთი ქართული სიტყვა, რომელიც ქართულში არსებობდა „სამეფო კარის“ აღსანიშნავად „კარავი“ იყო. როგორც ივ. ჯავახიშვლი აღნიშნავს, „კარავი“, „სამეფო კარი“ და „სამეფო დარბაზი“ თანაბარი მნიშვნელობის ტერმინები უნდა ყოფილიყო.[31] ჩვენი მიზანია განვიხილოთ სამეფო დარბაზობის ცერემონია, ამ შემთხვევაში ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება „სამეფო კარის“ ცერემონიას ვუწოდებთ თუ „სამეფო დარბაზისას“.

[31] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, გვ. 180.

რა თქმა უნდა, დარბაზობას თავისი ისტორია აქვს, დროთა განმავლობაში არაერთხელ უნდა შეცვლილიყო დარბაზობის წესებიც და მასში მონაწილეთა შემადგენლობაც. სამწუხაროდ, ჩვენამდე ბევრმა საისტორიო წყარომ არ მოაღწია, რათა უფრო ფართო მასალაზე დაყრდნობით გვემსჯელა აღნიშნულ საკითხზე.

მსჯელობა დავიწყოთ იმის შესახებ თუ ვინ მონაწილეობდნენ „სამეფო დარბაზობაში“. ერთ-ერთი წყარო რომელიც პირდაპირ ასახელებს „დარბაზობაში“ მონაწილეებს არის ბაგრატ IV–ის მიერ 1060–1065 წლებში გაცემული სიგელი. ცნობილია რომ მიჯნაძორელ და ოპიზელ ბერებს შორის დავა მეფეს უნდა გადაეწყვიტა, ამიტომ მეფე წერს: *„შევკრიბენ კარსა დარბაზისა ჩუენისასა მღვდელ–მოძღვუარნი, ერისთავთ–ერისთავნი, ერისთავნი და ყოველთა ჴევთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი მეცნიერნი საბჭოთა საქმისანი და დავსხენით წინაშე ჩუენსა“.*[32] როგორც ვხედავთ, სადარბაზოდ შეკრებილან უმაძლესი სამღვდელოება, საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფლების წარმომადგენლები და სასამართლო საქმის მცოდნე აზნაურები. ამ ცნობაში არ იხსენიებიან ვაზირები, რომლებიც ამ დროს სამეფო კარზე მნიშვნელოვან ფიგურებს წარმოადგენდნენ. სამართლიანი იქნება დავეთანხმოთ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომელიც ამბობს, რომ ვინც მუდმივად დარბაზის კარს მყოფი მოხელეები იყვნენ მათი მოწვევა არ იქნებოდა საჭირო, მათი მონაწილეობა საქმის განხილვაში თავისთავად იგულისხმებოდა.[33]დარბაზობის მოწყობის ბრძანებას მეფე გასცემდა. XI საუკუნის შუა წლებში „სამეფო დარბაზობში“ მონაწილოებას იღებდნენ: უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენლები, დარბაზის კარს მყოფი ვაზირები საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფლები და „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“ (სასამართლო საქმის მცოდნე აზნაურები).

დარბაზობაში მონაწილეთა შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული თამარ მეფის ისტორიკოსთან, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“ ვკითხულობთ:

---

[32] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 8.

[33] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, გვ. 181.

„დასუეს სელებითა ოქროჭედილებითა რომელნიმე მარჯუენით მისსა და რომელიმე მარცხენით“[34] აქ საუბარია ვაზირების შესახებ, ე.ი. ისინი ნამდვილად იყვნენ დარბაზის წევრები. ამავე ავტორთან აღნიშნულია, რომ დარბაზობა მეფის თავჯდომარეობით იმართებოდა და ის მოოქროვილ ტახტზე იჯდა.[35]

სამეფო დარბაზობაზობას მკაცრად რეგლამენტირებული წესები ჰქონდა, ჯდომა–დგომის წესების არსებობა ნიშნავს იმას, რომ დამსწრე საზოგადოება ერთმანეთისგან დიფერენცირებული იყო თავისი უფლება–მოვალეობებისა და პატივის მიხედვით. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ სკამებიც კი განსხვავებული ჰქონიათ დარბაზობაზე დამსწრეებს. ვაზირები ოქროჭედილ სკამებზე მსხდარან, დანარჩენი დიდებულები ჩვეულებრივ საჯდომებზე, ზოგი „სასთაულით“ და ზოგიც „უსასთაულოდ“. საინტერესოა ჰქონდათ თუ არა რაიმე საერთო სახელი სამეფო დარბაზის წევრებს, წყაროებიდან ირკვევა, რომ მათ ეწოდებოდათ „დარბაზის ერნი“. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სწორდ ამ ტერმინიდან წარმოიშვა სიტყვა „დარბაისელი“, რომელიც, თავდაპირველად, დარბაზის წევრის აღმნიშვნელი სიტყვა იყო, ხოლო შემდეგ მას დინჯი ადამიანის მნიშვნელობაც მიენიჭა.[36] XIII საუკუნის ისტორიული ძეგლიდან, „მეფედ კურთხევის წესი და განგებიდან“, ჩანს რომ მეფედ კურთხევის ცერემონიაში „დარბაზისერნი“ მონაწილეობდნენ. მასში ვკითხულობთ: მეფეს უნდა მიულოცონ და პატივისცენ: *„პირველად დედოფალმან თაყუანი–სცეს, მერე–ღა კათალიკოზმან, ჭყონდიდელმან, ათაბაგმან, მანდატურთ–უხუცესმან, ამირსპასალარმან, მეჭურჭლეთუხუცესმან, მსახურთ–უხუცესმან და შემდგომად ჭელოსანთა და უჭელოთა დარბაზის ერთა სრულიადთა“.*[37] მოცემული ციტატა რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალზე მიგვითითებს. როგორც ჩანს, ვაზირები ცალკე ჯგუფს განეკუთვნებოდნენ და ცალკე იყვნენ „დარბაზის ერნი“. ისინი ორ ჯგუფად იყოფოდნენ: „ჭელოსანი და

[34] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. გამოსცა გ. კარტოზიამ, გვ. 408.
[35] იქვე, გვ. 436.
[36] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, გვ. 182.
[37] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 53.

უჯელონი“. პირველი მათგანი მეფის მოხელეებს გულისხმობს, მეორე მათგანი კი მოხელეები არ არიან, ისინი, სავარაუდოდ, სხვადასხვა წოდებათა წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ დაზუსტებით ამის დამტკიცება წყაროების სიმცირის გამო არ შეგვიძლია.

დარბაზის სხდომების შემადგენლობაზე ვრცელი ინფორმაციაა დაცული „ხელმწიფის კარის გარიგებაში“. დარბაზის სხდომებს ესწრებოდნენ ვაზირების სრული შემადგენლობით თავიანთ თანაშემწეებთან ერთად, უმაღლესი სამღვდელოება, საქვეყნოდ გამრიგეთაგან უფროსი მოხელეები. სამწუხაროდ, „უხელოთა დარბაზის ერთა“ შემადგენლობის და ვინაობის შესახებ არც ამ წყაროში არის რაიმე ცნობა.

რაც შეეხება თვითონ ტერმინს და მის ორ სახეობას, „დიდი და უმცროსი წესით“ დარბაზობას. იგი ისტორიკოსებს შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ სამეფო კარზე ამ ცერემონიას „დარბაზობა“ ეწოდებოდა, მისი ორი სახეობა არსებობდა „დიდითა წესითა“ და „მცირეთა წესითა“. ივანე ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ დიდი დარბაზობა საზეიმო სხდომას წარმოადგენდა, რომელსაც ფართო აუდიენცია ჰყავდა. აქ უნდა განეხილათ ის მოვლენები, რომლის შესახებ საუბარი სახიფათო და უხერხული არ იქნებოდა. ასევე, ამბობდა, რომ „უმცროსი წესით დარბაზობა“ საქმიანი სხდომა უნდა ყოფილიყო, შედარებით მცირე აუდიენციით და განეხილათ საიუმლო და სახელწიფოსთვის მნიშვნელოვანი საკითხები. ასევე აღნიშნავს იმას, რომ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა მხოლოდ ვარაუდებით არის შესაძლებელი, რადგან არ გვაქვს სხვა რაიმე წყარო, რომელიც „ხელმწიფის კარის გარიგების“ ცნობას უფრო დააზუსტებდა და გაამყარებდა.[38]

ამ საკითხის შესახებ განსხვავებული აზრი აქვს პროფესორ ილია ანთელავას, რომელიც არ ეთანხმება ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. განვიხილოთ მისი მისაზრება. ორივე ისტორიკოსი ერთ წყაროს ეყრდნობა, მაგრამ ინტერპრეტაცია

[38] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებები თორმეტ ტომად. ტ. VII, გვ. 183.

განსხვავებულია. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ვკითხულობთ: *„აწ განცხადება ვსთქვათ–დიდი დღესასწაული. და წესი არის, რომე მეფე სადაც იყოს, რაც სული კაცი არის ქრისტიანი, ყოველივე წავა. დიდი დროშა ააბან და მენობათენი წინათ, და დროშა განაღამცა წინა ამართული, და მერმე ჯვარის–მტვრთველი შემოსილი და ძელი ცხოვრებისა ჯელითა. ეგრეთვე წამოვიდნენ ეკლესიას. მივა მეფე და მენობათენი აღარა სცემენ ნობათსა და დროშა ეკლესიის კარსა დგას. და რა წყალი აკურთხონ, მეფე ეკლესიით გავიდეს, დროშით წავა და მუნვე კარის შესავალს ქვეშე დადგების. დარბაზობა, ვითარცა მეფეს ეპრიანოს: დიდის წესითა, და თუ უმცროსითა, ვითარცაღა წესი იყოს, იქნას“.*[39] ილია ანთელავა ამტკიცებს, რომ განცხადების დღესასწაულის შემდეგ ეკლესიიდან გამოსული მეფე სხდომის მოწვევის განკარგულებას არ გასცემდა, აქ საუბარი უნდა იყოს განცხადების დღესასწაულისადმი მიძღვნილ სამეფო წვეულებაზე. ის გამორიცხავს, რომ ქრისტიან მეფეს „ღვთისსწორად“ წოდებულს დიდი დღესასწაულის დროს „სახელმწიფო დარბაზის“ სხდომები მოეწვია, მითუმეტეს ეს „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ნორმად ყოფილიყო ფიქსირებული.[40] ამასთან ავტორი ტერმინ „დარბაზობის“ ნაცვლად „ვეზირობას“ უწოდებს სახელმწიფო საბჭოს სხდომას, რაც მთლად მართებული არ უნდა იყოს, რადგან სახემწიფო საბჭოს ვეზირებთან ერთად „ხელოსანი“ და „უხელონიც“ ესწრებოდნენ, ჩვენი აზრით, მათი „დარბაზის ერად“ მოხსენიება უფრო სწორია.

პროფ. ილია ანთელავას თავისი მოსაზრების დასადასტურებლად მოაქვს ციტატები „დიდი სჯულისკანონიდან“ და „მცირე სჯულისკანონიდან“. „დიდი სჯულისანონში“ ვკითხულობთ: *„სამოქალაქოთა სჯულთა განწესებაჲ იტყჳს, ვითარმედ ყოველისავე გარეშისა საქმისათჳს უქმნი არიან შჳდნი დღენი უწინარეს აღვსებისა და შჳდნი–შემდგომად აღვსებისა და ქრისტეს შობისა და განცხადებისაჲ... და*

[39] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 80-81.

[40] ილ. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს. თბ. 1983, გვ. 165.

ამათ დღეთა შინა არცა საბჭოდ დაიდების, არამედ უფროდსღა მონათა განთავისუფლება იქნების და ჰურობილთა განტევებად და თანამდებთა მიტევებად“.[41] *„მცირე სჯულისკანონშიც“ წერია: „ქრისტესშობად უქმობად არს.... განცხადებად უქმობად არს...“*[42] მოტანილი ციტატებიდან ვიგებთ, რომ განცხადება დიდი დღესასწაულია და უქმეა აუცილებლად, მაგრამ ეს არ ამტკიცებს იმას, რომ მეფის მიერ ნაბრძანები დარბაზობა მხოლოდ სამეფო წვეულება ყოფილიყოს. უფრო სწორი და დამაჯერებელია ივ. ჯავახისვილის მოსაზრება, რომელიც *ამბობს „დარბაზობა მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეების განსახილველად და გადასაწყვეტადაც იკრიბებოდა და დღესასწაულზეც“.*[43] ასეთი მოსაზრება ნამდვილად რეალობასთან უფრო ახლოსაა, რადგან თუ მეფე „დარბაზობას“, როგორც უბრალო წვეულებას ისე იწვევდა მაშინ გამოდის რომ სახელმწიფო საქმეებს სხვა სხდომაზე განიხილავდნენ. რა ერქვა ამ შეკრებას ან რატომ არაფერია წყაროებში დაფიქსირებული? ალბათ იმიტომ რომ დარბაზობა მოიცავდა როგორც სახელმწიფო საქმეების განსახილველ ცერემონიას, ასევე დღესასწაულების აღნიშვნის ცერემონიას.

საისტორიო წყაროებში გაფანტულად, მაგრამ მაინც არის ინფორმაცია დარბაზის ფუნქციების შესახებ. თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ მეფე იწვევდა დარბაზს და ერთად იღებდნენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, კანონების შედგენა და უზენაესი მართლმსაჯულება მათ ხელში ყოფილა. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში ვკითხულობთ: *„პირველად დავითიან ბაგრატ კურაპალატისა და აღმაშენებელთა მეფეთ–მეფისა ბრძანებითა და მერმე ებისპოზთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკვიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილი განგებითა ღმრთისადთა“*[44] ყოფილა ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი. იგივე დასტურდება

[41] დიდი სჯულისკანონი. გამოსაცემად მოამზადა ე. გაბიძაშვილმა. თბ. 1975, გვ. 155.
[42] მცირე სჯულის კანონი. გამოსაცემად მოამზადა ე. გიუნაშვილმა. თბ. 1972, გვ. 38.
[43] ივ. ჯავახიშვილი. თხულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, გვ. 183.
[44] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1963, გვ. 464.

„ძეგლის დადებაში“, სადაც გიორგი V ბრწყინვალე თვითონ ეუბნება მკითხველს: *„შემოვედით ქალაქსა და შემოვიტანეთ თემისა და თემისა ერისთავნი და ჯევისთავნი და ჯევისბერნი და ჰეროვანნი, დავსხედით და დავსვით წმინდა მეუფე და ქართლისა კათალიკოსი ეფთვმი, დავსხით ვაზირნი და ეპისკოპოზნი და მოურავნი... და ეს განაჩენი დავდევითო“.*[45] მოტანილი ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ მეფე დარბაზობას ფართო აუდიტორიასთან ერთად მართავდა და ერთად იღებდნენ გადაწყვეტილებებს და განჩინებებს.

აღნიშნული წესი და დარბაზობის ცერემონია არც XVIII საუკუნეში ყოფილა დავიწყებული, რადგან თვითონ ვახტანგ VI *აღნიშნავდა: „რომელნი იხილავთ და ისმენთ, ნურვინ ჰვონებთ, რამეთუ თვით მხოლოდ თავით თვისით რასამე ვჰყოფდეთ, არამედ თანაყოლითა და მოწმებითა მღვდელმთავრისა და დიდისა ქალაქისა მცხეთისა და კვართსა ზედან საუფლოსა სვეტისა აღმართებულისა და მორონ–აღმოცენებულის, საჭედ–მპყრობელისა და ჯარისხსა ზედან მტკიცედ მდგომელისა, ძმისა ჩვენისა ბატონიშვილისა კათალიკოსის დომენტისითა, ეგრეთვე თანადგომითა არაგვის ერისთავის შვილის, მთავარეპისკოპოზის გრიგოლისა და სხვათა მიტროპოლიტ–ეპისკოპოზ–წინამძღუართ და საღვთოთაგანთა, დამოწმებითა და თანაზრახვითა მუხრანის ბატონის ერეკლეთი, არაგვის ერისთავის გიორგითა, ქსნის ერისთავის დავითისითა, ორბელიძის სარდლის ლუარსაბითა, ამირახორის ავთანდილით, მდივანბეგის ერასტითა, სხვათა ყოველთა დარბაზისერთა ჩვენთათა. და კითხვითა ჭკუათმყოფელთა და მოხუცებულთა კაცთათა გავაჩინეთ და დავწერეთ, რომელსა მივწვდით და ანუ გონებანი ჩუენნი სამართალთა მიხუდნენ“*-ო.[46]

როგორც ვხედავთ მეფე დარბაზის წევრთა საკმაოდ დიდ რაოდენობას ასახელებს და ხაზს უსვამს, რომ სამეფო დარბაზის „თანადგომით“ იღებდა გადაწყვეტილებებს. ანუ გვიან შუა საუკუნეებშიც დარბაზობის ცერემონიას თავისი

[45] ს. კაკაბაძე. ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ. თბ. 1913, გვ. 4–5.
[46]ქართული სამართლის ძეგლები. I, გვ. 478–479.

მნიშვნელობა არ ჰქონდა დაკარგული და თავის მოვალეობას კვლავ ასრულებდა.

დარბაზის განსახილველი იყო ომის გამოცხადების საკითხი, დიდ ხელისუფალთა არჩევა-დანიშვნის საკითხი, ხელისუფლების „დალოცვა და ჴელდასმა“, საზეიმო სხდომების გამართვა ომის დასრულების შემდეგ, უცხოელი სტუმრების მიღება გამასპინძლება, დიდ დღესასწაულებში მონაწილების მიღება. სამეფო დარბაზს დიდი უფლება–მოვალეობები ჰქონდა, მეფე ითვლებოდა ერთპიროვნულ მმართველად (მონარქად), მაგრამ სამეფო კარზე მყოფი მოხელეების დახმარების და მათთან მოლაპარაკების გარეშე ის ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას.

სამეფო დარბაზობის ცერემონია მკაცრად რეგლამენტირებული წესების მიხედვით უნდა ჩატარებულიყო, რომელსაც „დარბაზობის წესი“ ეწოდებოდა. ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ ბაგრატ IV-ის 1060–1065 წლების სიგელიდან ვიგებთ, რომ ამ პერიოდში სადარბაზოდ შეკრებილი ე.წ. „დარბაზის ერი“ მეფის წინ ანუ პირდაპირ მსხდარან. ამას საბუთში ჩაწერილი სიტყვები ამტკიცებს: *„დავსხენით წინაშე ჩუენსა“*. შემდეგ პერიოდში, თამარ მეფის დროს აღნიშნული წესი შეცვლილა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ გვამცნობს, რომ *„დასვეს...რომელნიმე მარჯუენით მისსა (ე.ი. მეფისა) და რომელნიმე მარცხენით“.*[47] ეს ამტკიცებს იმას, რომ ძველი წესი მეფის პირისპირ ჯდომისა შეცვლილა და თამარის დროს მხარ-მარჯვნივ და მხარ-მარცხნივ მსხდარან ვაზირები. საერთოდ თამარ მეფის დროს დარბაზობის წესებს დიდი ყურადღება ექცეოდა. თამარის ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ ვაზირებს *„შთააცვეს სკარამანგი (ან საკრამანგი) ტანსა მათსა და დასუეს სელებითა ოქროჭედილებითა“.* როგორც წყაროდან ჩანს ვაზირების სამოსი შეუცვლიათ და საჯდომიც, რომელიც აქამდე ოქროჭედილი არ უნდა ყოფილიყო. იქვე ვკითხულობთ, რომ ვაზირები და სხვა ხელისუფალნი მეფემ სელებზე *„დასხნა სასთაულითა“.*[48] როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ბალიშებზე დასხმა ძველი წესი ყოფილა ჯერ

[47] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. გამოსცა გ. კარტოზიამ, გვ. 408.
[48] იქვე, გვ. 408.

კიდევ სასანიანთა სპარსეთში,[49] რომელიც საქართველოშიც ყოფილა გავრცელებული.

კიდევ უფრო საინტერესოა დარბაზის სხდომების დროს „დარბაზის ერთა“ ჯდომისა და დგომის წესები, ყველაფერი ეს უფროს-უმცროსობის რიგის მიხედვით იყო განსაზღვრული და სხვის ადგილზე დაჯდომის უფლება მეფის ბრძანების გარეშე არავის ჰქონდა. თამარის ისტორიკოსთან ვკითხულობთ, რომ კახეთის ერისთავმა ბაკურ–ყმა ძაგანისძემ *„იაჯა არიშიანის ადგილასა დაჯდომა სასთაულითა“.*[50] ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ დარბაზის თითოეულ წევრს თავისი დასაჯდომი ადგილი ჰქონია და თუ სად დაჯდებოდა „დარბაზის ერის“ წარმომადგენელი „წესი ჯდომისა და დგომისა“ განსაზღვრავდა. ფეხზე მდგომ მოხელეებსაც განსაკუთრებული ადგილი ჰქონდათ მიკუთნებული მეფესთან „წესისაებრ სიახლოისა“. ანუ მეფესთან ახლოს დგომის უფლება თანმდებობით უფრო მაღლა მდგომს ჰქონდა, შემდეგ კი სოციალური დიფერენციაციის მიხედვით იყვენენ განაწილებულნი.

დასკვნის სახით შეგვძლია ვთქვათ, საქართველოში შუა საუკუნეებში დარბაზობის ცერემონიამ თავისი დანიშნულება შეასრულა და, ასევე, თავად ამ ცერემონიამაც გარკვეული განვითარების გზა განვლო. მეფეს ყოველთვის გვერდით ჰყავდა ადამიანთა ჯგუფი, ანუ „დარბაზის ერი“, რომლებიც ყოველთვის ეხმარებოდნენ მას. მათ ჰქონდათ თავიანთი უფლება-მოვალეობები, რომელიც მკაცრად იყო რეგლამენტირებული, იმის მიხედვით თუ რა პატივი (სახელო) ჰქონათ. სხვადასხვა პერიოდში დარბაზის წევრთა რაოდენობა იცვლებოდა, ეს იმაზე იყო დამოკიდებული როდის და ვინ დაემატებოდა მათ რიცხვს. მაგალითად, თამარის დროს ათაბაგის ვაზირად გახდომამ გამოიწვია ის, რომ მას მიენიჭა გარკვეული უფლება-მოვალეობები თუ რა უნდა გაეკეთებინა დარბაზობის დროს. ანუ ნებისმიერი მოხელის ყოფნას „დარბაზის ერთა“ შორის თავისი დატვირთვა და მნიშვნელობა ჰქონდა. თუ დავაკვირდებით დარბაზის ფუნქციას და დღევანდელი პარლამენტისას შევადარებთ,

[49] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებები თორმეტ ტომად. ტ. VII, გვ.185.
[50] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. გამოსცა გ. კარტოზიამ, გვ. 408.

შესაძლოა განვითარების უწყვეტი ჯაჭვი დავინახოთ. დღევანდელი საპარლამენტო სხდომები, ის წესები რაც არსებობს და განსაზღვრვს პარლამენტის წევრთა უფლება-მოვალეობებს თითქოს სათავეს სწორედ შუა საუკუნეების დარბაზიდან იღებს, ეს კი იმის ნიშანია, რომ ჩვენი ქვეყანა ყოველთვის მოწოდებული იყო სახელმწიფოებრივი სრულყოფისკენ, უფრო მეტად დაეხვეწა და მრავალფუნქციური ყოფილიყო სახელმწიფო ბიოროკრატიული აპარატი.

თავი III

საზეიმო პურობა

სამეფო კარზე არსებობდა წესები, რომლებიც არეგულირებდნენ სასახლის ცხორებას. მკაცრად რეგლამენტირებული ცერემონიების რიცხვს მიეკუთვნებოდა საზეიმო პურობაც. მეფე და მის გარშემო შემოკრებილი დიდებულები უფროს–უმცროსობის მიხედვით იცავდნენ დადგენილ წესებს. ჩვენ შევეცდებით აღვადგინოთ საზეიმო პურობის ცერემონია, რომელიც ხშირად იმართებოდა სამეფო კარზე.

როგორც ცნობილია, „დიდი დარბაზობის“ შემდეგ იმართებოდა პურობის ცერემონია. სუფრასთან ჯდომის წესი, მოსართმევი საჭმელი და მომსახურება ექვემდებარებოდა იერარქიულ პრინციპებს. აღსანიშნავია ისიც, რომ დარბაზობის ყველა წევრს არ ჰქონდა უფლება პურობაზე დარჩენილიყო. საინტერესოა მანდატურთუხუცესის მოვალეობა, ის ყოველთვის „პურის წინაობას“

ხელმძღვანელობდა. გარკვეულ წესებს ექვემდებარებოდა სტუმრებისა და მეფის დაჯდომისა და გამასპირძლების ცერემონია. ერთმანეთისგან განსხვავდებოდა დასაჯდომი სკამები, ზოგი ოქროჭედილ სკამებზე იჯდა სასთაულით, ზოგიც უსასთაულოდ. *„პურობა თუ გვიან გაიმართება და ღამე მოუწევთ სტუმრებს წაბრძანება მაშხლებით უნდა გააცილონ. პურობის დაწყების დროს მეფე არ იკავებდა სუფრასთან პირველ ადგილს, ის როგორც მასპინძელი დარბაზის წევრებს იწვევდა და შემდეგ შეუერთდებოდა მათ“.* [51]

პურობის ასეთი ცერემონია მნიშვნელოვანი იყო მოხელე-დიდებულების და მეფის ურთიერთობაში. მათი ურთიერთდამოკიდებულება კი აღბეჭდილი იყო ნებისმიერ პურობის დეტალში. ჩვენ განვიხილავთ საზეიმო ცერემონიას „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ დაცული ცნობების მიხედვით, რადგან ეს ცნობა თითქმის სრულყოფილად აღწერს ჩვენთვის საინტერესო მოვლენას.

პურობის გამართვის ცერემონიას ხელმძღვანელობდა მანდატურთუხუცესი, სამეფო კარზე ის ობერცერემონმაისტერის მსგავს ფუნქციას ასრულებდა. მას ევალებოდა სახელწიფო წესრიგზე თვალყურის მიდევნება. [52] ასევე სამეფო დარბაზობისას და პურობისას ის და მისი ხელქვეითები წარმართავდნენ მთელ ცერემონიას. კერძოდ ვკითხულობთ: *„თუ პურობას ღამე შემოესწრას, სანთელი სასანთლითა და მისითა ნატითა თავთავისა საფარეშოთა არის, და ფარეშთა–უხუცესი მიიღებს, წამოაყენებს და თავ თავის ადგილს ჩასდებს ვაზირთა წინა . . . რა გაიყარნენ, ორი მაშხალა ჭყონდიდელს წაუძღვების და თვითო სამთა ვეზირთა, და სხვათა არავის . . . ან მეფე უბრძანებს მანდატურთ–უხუცესსა, იგი არგანსა დააგდებს და ამირეჯიბი არგანს აიღებს. მანდატურთ–უხუცესი ტახტის წინ მიდგების: „პური მოიღეო“. მანდატურთ–უხუცესი მობრუნდების, არგანს გამოუღებს და პურის წინაობას იურვებს. და რაჲ ამირეჯიბი და განმგეთ–უხუცესი გავიდნენ, კათალიკოზნი, მოძღვართ–მოძღვარნი,*

[51] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 488.
[52] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 644.

ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი და ვინც ქვე სხედენ, ყველანი ზე ადგებიან. პატარა ხანი გამოვიდეს, მეფე აწვევს კათალიკოზთა, მოძღვართ–მოძღვართა, ჭყონდიდელსა, ათაბაგსა და, ვისაცა არ უბრძანებს ვერავინ დაჯდების ვერემდი სეფეს ტაბაკს არ დასდგამენ. უნდა ოქროს ტაბაკი შუაზედ ერთუმელი იყოს. ზედ შექმნილი თავი თვალმარგალიტიანი, შიგ მარილი იყოს ზედ ერთი კოვზი ბროლისა, ტარი მოჭედილი, ხალასის თვალი ზედა იყოს და ერთი ატლასის ჩილანი ზედ ისხდენ. ტაბაკს მანდატურთ-უხუცესი და ამირეჯიბი დასდგამენ. შაჭამადსა განმგეთ-უხუცესი მიიღებს კოზმანჩქითა. მოლარეთ-უხუცესი ადგების, მოიღებს მსახურთ-უხუცესი, და იგი მოიღებს. აწ მანდატურთ-უხუცესი მივა და თავის ადგილს ქვე დაჯდების. ამირეჯიბი და [და განმგეთ-უხუცესი] კათალიკოზთა, მოძღვართ-მოძღვართა, ჭყონდიდელსა, ამათ წინ ტაბლას დასდგმენ, და ზედ ტაბაკს იგი დაუდგამს. ეს ოთხნივე ადგებიან და თავმოდრეკით ჯელთა ტაბაკზე დასხმენ, ამირეჯიბს ეთაყვანებიან. ათაბაგსა, ამირ-სპასალარსა და მანდატურთ-უხუცესსა ტაბაკს ეჯიბი დაუგამს, ადგებიან. განმგეთ-უხუცესი მონაზონთ ოთხთავე სამ-სამის ჯამით, ეგრეთვე სამთა ვეზირთა ითვალავს, და მერმე ამირეჯიბი და განმგეთ-უხუცესი დასხდებიან, და მუქიფი ითვალავს სხვათა ვეზირთა ოროლითა ჯამითა, პირის მწდეს, რაჲ მეორეს ჭიქას გამოუღებს მეფე, ანუ მესამესა, სათვალავსა მოიატანინებს, [მივა] და დაჯდების ამირეჯიბსადა განმგეთ-უხუცესს თანა. და სამნივე ერთად დასხდებიან. საწოლის მწიგნობარი მსახურთ-უხუცესის გვერდით ზის. და რაჲ სუფრა დაუფინონ, ჯელისუფალნი ესე, რომე ზემოთ დამიწერია, ვინც სხედან მეაბჯრეთ-უხუცესსა პირდაპირ, ზარდახანის მწიგნობარი და მას ქვემოთ მწიგნობარნი, დასხდებიან პირისპირ. და იქით სხვანი ხელისუფალნი და ხელოსანნი, სასახლის დიდებულნი ჩასხდებიან, სუფრის ბოლოს მერემეთ-უხუცესი და ფარეშთ-უხუცესი სხედან, და მათ ქვემოთ მეჯინიბენი. მაგრამ სუფრაზედ ჭაშნაგირი ზე დგას ოქსინოსა ზედა ცალკესა, იგი და წინამდგომი ტახტსა ზედა დგანან. ჭაშნაგირს ჯელის მანდილით ცოტა ჩამჩა აქვს. რაჲ საჭამადი წამოაყენონ, ჩამჩით ამოიღებს და

ჯელსა ზედა დაისხამს და შეხვრეტს და აგრეთვე ღვინოს . . . (შემდეგ ორი ფურცელი აკლია)“.[53]

მოტანილი ციტატა მრავლის მომცველ ინფორმაციას გვაწვდის პურობის და მასზე დამწრეთა შესახებ. როგორც ვხედავთ, პურობის ცერემონია კარგად გათვლილი და რეგლამენტირებული ყოფილა. ამ შემთხვევაშიც დაცულია უმცროს-უფროსობის წესები. რომელი მოხელე სად უნდა დაბრძანდეს და ვინ მოემსახუროს. მანდატურთუხცესი პურობის ცერემონიის წარმმართველია, მომსახურე პერსონალმაც და დამწრე საზოგადოებამაც იცის ვინ სად უნდა განთავსდეს და ვის ვინ მოემსახუროს. სწორედ მანდატურთუხუცესის „პურის წინაობის“ შემდეგ იწყება „პურობის ცერემონია“. შემდეგ, მანდატურთუხუცესი და ამირეჯიბი ტაბაკს სეფეზე დასდგამენ განმგეთუხუცესი შეჭამანდს მოიღებს, ამის შემდეგ მანდატურთუხუცესი თავის ადგილს დაიკავებს. ამირეჯიბი კათალიკოზს, მოძღვართ–მოძღვარს და ჭყონდიდელს წინ ტაბლას დაუდგამს და ზედ ტაბაკს დაუდებს. ათაბაგს, ამირსპასალარს და მანდატურთუხუცესს ტაბაკს ეჯიბი დაუდგამს. განმგეთუხუცესი კი ოთხთა მონაზონთა მოემსახურება. და ასე გრძელდება უფროს-უმცროსობის დაცვით ცერემონიის წარმარვა. სულ ბოლოს საინტერესო წინადადებაა დაუსრულებელი სადაც ვკითხულობთ, რომ ჭაშნაგირი აგემოვნებს საჭმელს და ღვინოს და შემდეგ სამწუხაროდ წყდება ტექსტი. სავარაუდოდ, საკვებ-სასმელის წინაწარ გასიჯვა საჭირო იყო იმის გამოსარიცხად, რომ არც ერთი მათგანი მოწამლული არ იყო. საკმაოდ საინტერესო სურათია პურობის, რადგან სხვა არც ერთ წყაროში ასე დაწვრილებით არ არის ცნობები დაცული.

სავარაუდოდ, „პურობის ცერემონიას“ გარკვეული ცვლილებები უნდა განეცადა, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველი ახალი სახელოს დამატება სამეფო კარზე იწვევდა გარკვეულ ცვლილებებს, ნებისმიერ მოხელეს უნდა ჰქონოდა გარკვეული უფლება-მოვალეობები. სწორედ ამიტომ, ამ ცერემონიაშიც გარკვეული ცვლილებები

[53] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VI, გვ. 401–402.

აუცელებლად იქნებოდა შესული, მაგრამ ძირითადი ფუნდამენტი, სავარაუდოდ, უცვლელი უნდა დარჩენილიყო.

თავი IV

მოხელეთა დანიშვნა

საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს მართვისთვის აუცილებელი იყო სხვადასხვა მოხელეების დანიშვნა და „სახელოების“ შექმნა. პირველად ჩამოყალიბდა სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულები, რომელსაც საერისთავოები ეწოდებოდა. ძვ.წ. III საუკუნიდან XV საუკუნის ბოლომდე საერისთავო წარმოარდგენდა ადგილობრივი მმართველობის სისტემას, რომელშიც მეფე ნიშნავდა თავის მოხელეს,

ერისთავს, საერისთავო კი დროებით სამართავად გადაცემულ ტერიტორიას წარმოადგენდა. ბრძოლა სამეფო ხელისუფლებასა და ერისთავებს შორის საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა, მეფე თავის მხრივ ცდილობდა გაეკონტროლებინა ერისთავები, რათა ზედმეტად არ გაძლიერებულიყვნენ. ხოლო ადგილობრივი მმართველები ყოველთვის იმისთვის იბრძოდნენ, რომ დროებით სამართავად ჩაბარებული ტერიტორია სამემკვიდრეო ექციათ და გაძლიერებულიყვნენ. გარკვეულ წარმატებებს ერისთავებმა VI საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს მიაღწიეს, როდესაც მეფობა გაუქმდა, მართალია ეს გარეშე ძალის ჩარევით მოხდა, მაგრამ ერისთავების უფრო გაძლიერებისთვის ხელსაყრელი ფაქტი იყო. ფაქტობრივად, თვითონ გახდნენ თავიანთი საერისთავოების სრული მმართველები. მათ საერისთავო მემკვიდრეობით სამართავად აქციეს, მიუხედავად იმისა, რომ ასე გაძლიერდნენ ისინი თავიანთ კუთვნილ საერისთავოს კვლავ ერისთავის ტიტულით განაგებდნენ და მათი ტიტულატურის ცვლილება არ მომხდარა.

ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, რაც ერთიანი საქართველოს მეფე ბაგრატ III–მ კვლავ მოახერხა მეფის ინსტიტუტის გაძლიერება და აღადგინა თავდაპირველი ტიპის ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუტი, მმართველად კი კვლავ ერისთავის ტიტულის მქონე მოხელეები დატოვა. ასეთი მდგომარეობა დიდიხანს არ გაგრძელებულა, ქვეყნის შიგნით და გარეთ არსებულმა ვითარებამ ერთის მხრივ დაასუსტა მეფის ხელისუფლება და მეორეს მხრივ გააძლიერა ერისთავები, რომლებიც ნელ-ნელა „მთავრები“ ხდებიან. XV საუკუნის ბოლოს კი ქვეყანა საშინელ ჩიხში ექცევა და იქიდან თავს ვეღარ აღწევს, ვიღებთ დანაწევრებულ სამეფო–სამთავროებს, იცვლება მმართველობის მთლიანი სისტემა და ერისთავების ინსტიტუტიც ქრება, მათ ნაცვლად კი ჩნდებიან „მთავრები“ გაზრდილი უფლებებით.

ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ ერისთავების შესახებ ინფორმაცია და მათი უფლება–მოვალეობები. კერძო მაგალითების მოყვანას აღარ დავიწყებთ, რადგან

ისედაც ნათელია თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ერისთავებს სამეფო თუ სახელმწიფო საქმეში. ჩვენი კვლევის საგანი ამ შემთხვევაში ერისთავების დანიშვნის შესახებ ინფორმაციის შეკრება და იმ ცერემონიის აღდგენაა, რომელიც ამ მოხელეების დანიშვნის დროს ტარდებოდა.

ერისთავი იყო საჯარო ხელისუფლების მოხელე, რომელიც ინიშნებოდა მეფის ბრძანებით და მას ექვემდებარებოდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა მხარე სამართავად ჩაბარებულ ტერიტორიაზე. ერისთავის სასამართლო-ადმინისტრაციულ უფლებებზე მიუთითებენ „ძეგლის დების“ მე-7; მე-9; მე-17 და მე-18 მუხლები. ერისთავი საკმაოდ დიდი უფლებებით სარგებლობდა, ერისთავობის ინსტიტუტი კი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის მართვისთვის.

ისეთი დიდ მოხელის დანიშვნა, როგოგიც ერისთავი იყო მოითხოვდა ცერემონიის ჩატარებას, ეს უნდა მომხდარიყო საზეიმოდ. მეფესაც და ერისთავსაც უნდა გაეცნობიერებინა თავისი უფლება-მოვალეობები. ეს, რა თქმა უნდა, ორივე მხარეს სთხოვდა შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულებები. ფეოდალურ სახემწიფოში მეფე ვალდებული იყო თავისი ხელქვეითები გაეკონტროლებინა და თუ საჭირო გახდებოდა დაეცვა კიდეც. ამიტომ ერისთავების კურთხევის ცერემონია მთელი რიგი წესების დაცვით ტარდებოდა.

ქართული სამართლის ძეგლების II ტომში მოცემულია: „კურთხევაჲ ერისთავისაჲ“, „ლოცვაჲ დადგინებისა ერისთავთ–ერისთავისაჲ“, „კურთხევაჲ ცოტაჲსა ერისთავის დადგინებისასა უფლის მიმართ ვილოცოთ“.[54] ეს წერილობითი ძეგლები გადმოგვცემენ საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას მოხელეთა კურთხევის ცერემონიასთან დაკავშირებით. ამ ცნობების შევსება–გადამოწმება შეგვიძლია „ძეგლი ერისთავთას“ საშუალებით.

„კურთხევაჲ ერისთავისაჲში“ ვკითხულობთ იმ ცერემონიის შესახებ, რომელიც

[54] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 54–57

ერისთავის პატივში აყვანას უკავშირდებოდა. ცერემონია იწყებოდა განბანვით, შემდეგ მომავალი ერისთავისთვის უნდა ჩაეცვათ *„სამოსელი, ვითარცა შუენის მეფეთა“*, ერისთავი მიჰყავდათ საკურთხევლის აღსავალთან, დაუფინონ *„ტაბატად და ჴელითა აქუნდეს კეროვანი აღნთებული. დაუდგენ მღდელნი და დიაკონნი მარჯუენით და მარცხენით, და კათალიკოზმან ანუ მიტროპოლიტმან აკურთხოს ამით კურთხევითა“.*[55] აქვე ვკითხულობთ: *„საქმესა მოწყალებისასა აჩუენებდის და სასჯელისა სიმართლისასა ჰყოფდეს უქრთამოდ“*, როგორც ვხედავთ ლოცვაში ხაზგასმული იყო ერისთავის ადმინისტრაციული ხელისუფლების შესახებ.

ასევე ხდებოდა ერისთავთ-ერისთავისა და „ცოტად“ ერისთავის კურთხევა, ამ შემთხვევებში, როგორც ჩანს, კურთხევის ცერემონია არ იყო განსხვავებული და მხოლოდ ლოცვა არის შემონახული სხვადასხვა სახით. როგორც პროფესორი მიხეილ ბახტაძე ვარაუდუბს, ერისთავის სახელო ერთი უნდა ყოფილიყო, „ლოცვად დადგინებისა ერისთავთ–ერისთავისად“ და „კურთხევად ცოტადსა ერისთავისა დადგინებისასად უფლისა მიმართ ვილოცათ“ თვითონ სათაურები გვიან უნდა იყოს ჩამატებული. მისი აზრით, თავდაპირველად უნდა ყოფილიყო სათაური „კურთხევად ერისთავისად“, რომელიც ორი ლოცვისგან შედგებოდა, აღსანიშნავია თვითონ ის ფაქტი, რომ ტერმინები ერისთავთ-ერისთავი და ცოტად ერისთავი ტექსტში არ გვხვდება, მათ ნაცვლად კი ერისმთავარი და ერისთავია დაფიქსირებული.[56] ჩვენის მხირვ აღვნიშნავთ, რომ თვითონ ცერემონიას რაც შეეხება ის ერთი უნდა ყოფილიყო, მიუხედავად იმისა რომელ ლოცვას წაიკითხავდა მღვდელმსახური.

თავის მხრივ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ერისთავის კურთხევა ხდებოდა ტაძარში, ფაქტობრივად ეს იყო მეფის კურთხევის მიმსგავსებული ცერემონია. ერისთავი გამოწყობილი იყო განსაკუთრებულ სამოსში და ჰქონდა თავისი ხელისუფლების ნიშნები, მაგრამ განსხვავებით ერისთავისგან მეფე მირონცხებული

[55] იქვე, გვ. 54–55.
[56] მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ. 2003, გვ. 197.

იყო. [57]

საერისთავოში ერისთავი მეფის „ნაცვალს“ წარმოადგენდა, მისი დადგენის ფორმულა და ინსიგნიები კი მიუთითებდა, რომ ის საჯარო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელი იყო სამართავ ტერიტორიაზე, სადაც ახორციელებდა სამხედრო, სასამართლო-ადმინისტრაციულ და ფისკალურ ფუნქციებს.[58]

ერისთავის ფუნქციების და მათი დანიშვნის შესახებ „ძეგლი ერისთავთა“ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. ძეგლის მიხედვით, იუსტინიანე კეისარმა როსტომი *„შემოსა სამოსლითა მით, რომელ ემოსა მაშინ მეფესა, და შეაცუა ბეჭედი და საყური და სარტყელი თჳსი, საჭრველი და ცხენი თოროსანი, დროშაჲ და შუბი“.*[59] როგორც პროფ. გ. ჩიტაია აღნიშნავს, ამ ინსიგნიებთან ერთად ერისთავს უნდა ჰქონოდა სკიპტრა, ცული და საკურცილ (სავარძელი). [60] ასეთი ნიშნების ფლობა მიუთითებს ერისთავის „სახელოს“ დიდ მნიშვნელობაზე. სხვა შემთხვევებში არსად არ გვხვდება ამდენი მნიშვნელოვანი სამეფო ნიშნით აღჭურვილი მოხელე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც, ასევე, „ქართული სამართლის ძეგლების“ II ტომშია მოცემული, მთავრის დადგინებას ეხება. ესაა „ლოცვაჲ დადგინებასა მთავართასა“.[61] ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ერისთავების შემდეგ ისტორიულ ასპარეზზე გამოდიან მთავრები, მათ უფრო მეტი უფლებები და შესაძლოა „იმუნიტეტიც“ კი ჰქონდათ. ჩვენ არ გვაქვს ზუსტი ცნობები მთავრის დადგინება როგორი წესით ხდებოდა. აქ მხოლოდ აღნიშნულია ლოცვა, რომელიც მთავრის დადგენის დროს იკითხებოდა. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თვითონ სიტყვა „კურთხევაჲ“ სათაურშიც არ წერია, მაშინ როდესაც ერისთავის

---

[57] ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI–XIII სს., გვ. 175.

[58] ა. ბოგვერაძე. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV–VIII სს., თბ. 1979, გვ. 189.

[59] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 104.

[60] გ. ჩიტაია, სამი ინსიგნია (წარჩინების ნიშანი) ამიერკავკასიიდან, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XVI–XVII სს. თბ.1972, გვ. 52–53.

[61] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 54.

შემთხვევაში პირდაპირ ვკითხულობთ: „კურთხევაჲ ერისთავისაჲ“. ამ შემთხვევაში შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რადგან შემონახულია ლოცვის ტექსტი ე. ი. რაღაც ცერემონია ნამდვილად უნდა ჩაეტარებინათ, რადგან ერისთავის შემთხვევაში სწორედ ლოცვა იყო ცერემონიის ნაწილი. შესაძლოა უბრალოდ დაიკარგა ლოცვამდე რა ცერემონიაც იყო ტექსტის ეს ნაწილი, ან ერისთავის კურთხევის მსგავსი იყო და აღარ აღწერეს, მხოლოდ ლოცვა ჩაუწერიათ. ასეთი ვარაუდების გამოთქმის საფუძველად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ მთავარი ერისთავის სამართალმემკვიდრე იყო, მას უფრო მეტი უფლებები ჰქონდა. მთავრის დადგინების ლოცვაში ვკითხულობთ: *„...სათნო–იყავ მოღებად მთავრობისა ამის, მოანიჭე ამას ყოველივე საცხოვრებელად თხოვაჲ და ღირს–ყავ იგი სჯად მის ქუეშემყოფთა სიწრფოებითა და სიმართლითა; რათა სათნოდ შენდა გამოჩნდეს ყოველსავე შინა, რომელსაცა იქმოდის, და ყოველსა საქმესა წყალობისასა აჩუენებდეს*“, ლოცვის ტექსტი არ შეიცავს სხვა რაიმე მნიშვნელოვან დეტალს, რომელიც მიგვანიშნებდა ლოცვის წაკითხვის გარდა სხვა რა ხდებოდა ტაძარში, ან ვინ ესწრებოდა დადგინებას. მიუხედავად ამისა ნაკლებად სავარაუდოა მთავრის კურთხევა ერისთავის კურთხევის ცერემოანიაზე უფრო უბრალო ყოფილიყო.

საინტერესოა როგორ ინიშნებოდნენ სამეფო კარზე მყოფი დიდი მოხელეები სხვადასხვა მნიშვნელოვან თანამდებობებზე, ხდებოდა თუ არა მათი კურთხევა, ან რა ცერემონიებთან იყო დაკავშირებული ეს ყველაფერი.

ქვეყნის გაერთიანებამ გამოიწვია მმართველობის აპარატის ცვლილება, სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ვაზირის ინსტიტუტის შექმნა. ვაზირები გახდნენ ის „უხუცესები“, რომლებიც სამეფო კარზე მსახურობდნენ – მწიგნობართუხეცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი და სხვა. ყოველ უხუცესს გარკვეული უწყება ებარა და მათ შორის ყველაზე უფროსი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი იყო. ნ. ბერძენიშვლი ვაზირის ინსტიტუტის

დამკვიდრებას დავით აღმაშენებლის რეფორმებს უკავშირებს და თვლის, რომ პირველი „ვაზირი მეფისა“ იყო გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი.[62] თვითონ ტერმინი „ვაზირი“ არაბულ–სპარსული სიტყვაა, არაბულად სიტყვა „ვაზ–ირუნ“ თანაშემწეს, მეშველს, ვაზირსა და მინისტრს ნიშნავს.[63] „ვაზირი“ ქართულ საისტორიო წყაროებში, როგორც მეფის მინისტრის აღმნიშვნელი ტერმინი, გიორგი III-ის დრომდე არ გვხვდება. როგორც ცნობილია, ვაზირის ტიტულს მხოლოდ მწიგნობართუხუცესი ატარებდა, შემდეგ დაემატა მანდარტურთუხუცესი ამირსპასალარი და მეჭურჭლეთუხუცესი, თამარის დროს მათ რიცხვს შეუერთდა ათაბაგი, ხოლო რუსუდანის მეფობის დროს მსახურთუხუცესი. ასე რომ სავაზირო 6 ვაზირისგან შედგებოდა, ისინი ორ ჯგუფად იყვნენ გაყოფილები: „სამთა ვაზირთა“ ჯგუფში შედიოდნენ – ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი; „ორთა ვაზირთა“ შორის კი მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი. ვაზირების შესახებ საისტორიო წყაროებში საკმაოდ ბევრი ინფორმაციაა, ვიგებთ მათი უფლება-მოვალეობების შესახებ, მაგრამ ის საკითხი რასაც ჩვენ ვიკვლევთ გამოკვეთილად არსად არის დაფიქსირებული. ფაქტია, რაღაც გარკვეული ცერემონია აუცილებლად უნდა ყოფილიყო ასეთი მაღალი თანამდებობის დაკავების დროს. ზემოთ ჩვენ უკვე განვიხილეთ მეფედ კურთხევის წესი, სადაც დაწვრილებით ვისაუბრეთ რომელ მოხელეს რა უნდა გაეკეთებინა და ვის რა მოვალეობა ჰქონდა. ამ ცერემონიიდან იმის დადგენაც შეგვძლია რომელი ვაზირი იყო უფროსი და რომელი უმცროსი. მაგრამ თვით ამ მოხელეების დადგენის ცერემონია არსადაა აღწერილი.

საინტერესოა, „ისტორიანი და აზმანში“ დაცული ცნობა: „ ... და განაჩინა და უბოძა ჭიაბერსა მანდატურთუხუცესობა და მისცა არგანი ოქროსა ჭელთა მისთა, და შთააცუეს სკარამანგი ტანსა მისსა, და დასუეს სელებითა ოქროჭედილითა...და კუალად უბოძა მეჭურჭლეთუხუცესობა დიდსა და გვარიანსა კაცსა კახაბერს ვარდანის ძესა, და

[62] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. III. თბ. 1966, გვ. 39.
[63] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებები თორმეტ ტომად. ტ. VI, გვ. 265.

მსახურთუხუცესობა – ვარდანს დადიანსა...და უბოძა ამოლახორობა გამრეკელსა თორელსა, რომელი ამირსპასალარიცა იქმნა შემდგომად სარგის მხარგრძელისა“.[64] როგორც მოტანილი ციცატიდან ვიგებთ, მანდატურთუხუცესის დანიშვნის დროს გარკვეული ცერემონია ტარდებოდა, მეფე მას ოქროს არგანს უბოძებდა, ტანზე ძვირფას სამოსს ჩააცვამდნენ (სამოსიც ამ შემთხვევაში ერთ-ერთი ინსიგნიის როლს ასრულებდა) და ოქრომოჭედილ სელლიან სკამზე სვავდნენ. ამ შემთხვევაში ერისთავისგან განსხვავებით კურთხევაზე არაფერია ნათქვამი, თანამდებობაზე დანიშვნის ასეთი ფორმა უფრო საერო ხელისუფლის მიერ თავისი უფლებების გამოვლინებას გამოხატავდა. მეჭურჭლეთუხეცესის გარდა მეფემ ამილახორი და ამირსპასალარიც დაადგინა, მათი დანიშვნის ამბავი სულ ორი სიტყვითაა გადმოცემული, მაგრამ ჩვენ შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ მათი დანიშვნაც მოიცვდა გარკვეული წესებით ჩატარებულ ცერემონიას.

ასევე საინტერესოა ამირსპასალარის „სახელო“ და მისი როლი ქვეყნის მართვაში. ამირსპასალარი, როგორც სამხედრო უწყების წარმომადგენელი დიდ როლს თამაშობდა მეფის კურთხევის ცერემონიაში. მას თავისი თანამდებობის ნიშნად „ჯრმალი“ ჰქონდა, დიდი დარბაზობის დროს „ჯრმალ-შემორტყმული“ იყო.[65] ასევე კურთხევის წესიდან ვიგებთ, რომ სანამ მეფე ეკურთხებოდა „სამეფო ჯრმალი ორთავე ხელთა ზედა“ ამირსპასალარს ეჭირა, ხოლო საეკლესიო კურთხევის შემდეგ წესი იყო მას უნდა შეება მეფისთვის ხმალი. ეს ყველაფერი მის დიდ უფლებებზე მიუთითებს, ამასთან ასეთი თანამდებობის პირის უბრალოდ დანიშვნა წარმოუდგენელია, მას ამირსპასალარობას გარკვეული წესის დაცვით უბოძებდნენ. სამწუხაროდ, არც ამ ცერემონიის შესახებ ინფორმაცია არ არის მოღწეული ჩვენამდე.

რაც შეეხება ათაბაგის თანამდებობას, ის საქართველოში გვიან შემოდის და არ წარმოადგენდა ძველ ქართულ თანამდებობას. „ათაბაგ“–ი თურქული სიტყვაა და მამა-

[64] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. გამოსცა გ. კარტოზიამ, გვ. 408
[65] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 51.

ბეგს ნიშნავს, ისინი განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდნენ და უფლისწულების აღმზრდელებად ინიშნებოდნენ.[66] ამ „სახელოს“ წარმოშობა დაკავშირებულია თამარ მეფის სახელთან. როგორც ვიცით, მისი მეფობის დროს ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ თამარ მეფეს მისი ძმისთვის ივანე მხარგრძელს უბოძებია ეს პატივი. ივანეს კი უთხოვია მეფისთვის ახალი პატივის ათაბაგობის ბოძება. [67] მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ლაშა ამ დროს უკვე თამარის თანამოსაყდრე იყო ამ თანამდებობამ მაინც იარსება გარკვეული ხანი, ამასთან საკმაოდ მნიშვნელოვანიც იყო სამეფო კარზე. ჩვენ არ ვიცით როგორ ხდებოდა ამ სახელოს გადაცემა, რა ინსიგნიებს ატარებდა ამ დროს, ან ვინ მონაწილეობდნენ ამ ცერემონიაში. შემდეგ პერიოდში კი ათაბაგს შეეძლო სხვა თანამდებობაც ჰქონოდა პარალელურად.

ასევე აღვნიშნეთ, რომ სამეფო კარზე და ვაზირებს შორის პირველი იყო მწიგნობართუხუცესი. დავით აღმაშენებლის მეფობის დროს ამ სახელოს დაემატა ჭყონდიდელობა. როგორც ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, მწიგნობართუხუცესობისა და ჭყონდიდელობის შეერთება 1103–1110 წლებს შორის უნდა მომხდარყო.[68] ამის შემდეგ მწიგნობართუხუცეს–ჭყონდიდელობა ერთი „სახელო“ უნდა ყოფილიყო, ასევე მწიგნობართუხუცესი თუ იქამდე საერო პირი იყო ამის შემდეგ კი სასულიერო უნდა ყოფილიყო. პირველ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს გიორგი ერქვა სახელად და მას დავითის ისტორიკოსი შემდეგნაირად ახასიათებს: *„კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ჯორცთაჲთა, სავსე სიბრძნითა და გონებითა, განმზრახი სჯანი და ფრთხილი ...თანა–განმკაფელი ყოველთა გზათა და საქმეთა და ღუაწლთა...“.* [69] მწიგნობართუხუცესი ყოფილა მეფესთან დაახლოებული პირი, რომელიც ვალდებული იყო მეფეს გვერდში დადგომოდა. ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ მწიგნობართუხუცესს ემორჩილებოდა 26 მწიგნობარი, რომლებიც სასახლის კარზე

[66] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებები თორმეტ ტომად. ტ. VI, გვ. 311.
[67] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. გამოსცა გ. კარტოზიამ, გვ. 477–478.
[68] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებები თორმეტ ტომად. ტ. VI, გვ. 272.
[69] ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი. გამოსცა მზ. შანიძემ, გვ. 320.

მსახურობდნენ. ის ამირსპასალარზე და მანდატურთუხეცესზეც წინ იდგა და მეტი უფლებებით სარგებლობდა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ამ მნიშვნელოვან თანამდებობაზე დანიშვნა გარკვეული რეგლამენტით გაწერილი ცერემონიით უნდა მომხდარიყო, ყველა მის ხელქვეითს სცოდნოდა და ეღიარებინა ის. სამწუხაროდ ჩვენ არ გვაქვს ზუსტი ცნობები ამ ცერემონიასთან დაკავშირებით, მაგრამ ქვეყნის ფაქტობრივად მეორე პირის დანიშვნა რომ უბრალოდ და მარტივად არ მოხდებოდა ეს საკითხი საკამათო არ უნდა იყოს. ამასთან გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელიც იყო და მისი კურთხევა თუ არა და დანიშვნის ცერემონიაში მონაწილეობა სასულიერო პირებსაც უნდა მიეღოთ.

მოცემულ თავში ჩვენ განვიხილეთ ის წერილობითი წყაროები, სადაც საუბარი იყო მოხელეების დანიშვნის შესახებ. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა პერიოდში განსხვავებულ ცერემონიებს ატარებდნენ. ჩვენ ქრონოლოგირად მივყევით და განვიხილეთ ერისთავების კურთხევიდან დაწყებული ვაზირებით და მთავრებით დამთავრებლი სახელმწიფო მოხელეების დანიშვნის ცერემონიები. აღსანიშნავია, რომ განსხვავებული იყო საქვეყნოდ გამრიგე და სამეფო კარზე მომსახურე დიდებულების უფლება-მოვალეობანი და, შესაბამისად, მათი დანიშვნის ცერემონიებიც.

თავი V

მეფის ცერემონიალური სამოსი

საქართველო ფეოდალური სახელმწიფო იყო საუკუნეების მანძილზე თავისი დიფერენცირებული სოციალური კლასებით. სხვადასხვა წოდების წარმომადგენელს ჰქონდა თავისი უფლება-მოვალეობა, მკაცრად იყო რეგლამენტირებული მათი ცხოვრების პირობები. ბევრ სხვა ნიშანთან ერთად სოცოალურ კუთვნილებას ხაზს უსვამდა სამოსი, რომელიც განსხვავდებოდა სხვადასხვა სოციალური ფენის მიხედვით. ყველაზე განსხვავებული და ძვირფასი სამოსი მეფეს უნდა სცმოდა. მისი სამოსი მკვეთრად განსხვავდებოდა დიდებულებისა და უბრალო ადამიანების სამოსისგან. უფრო მეტიც, როდესაც მეფე რომელიმე ცერემონიაზე იმყოფებოდა ის შესაბამისად უნდა ყოფილიყო შემოსილი. ისტორიულ წყაროებში და ფრესკებზე შემორჩენილია მასალა, რომელიც ნათლად აღწერს სამოსის იმ ტიპს, რომლითაც მონარქი იყო შემოსილი.

რა თქმა უნდა, მეფის ცერემონიული სამოსი ეპოქებისა და პოლიტიკური კონიუნქტურის მიხედვით იცვლებოდა. აღსანიშნავია, რომ მეფეთა სამოსი გაბატონებული პოლიტკულტურის შესაბამისი უნდა ყოფილიყო. ჩვენ ზემოთ უკვე განვიხილით მეფედ კურთხევის ცერემონია, სადაც აღნიშნული იყო მეფის ცერემონიული სამოსის შესახებ. კერძოდ ვკითხულობთ: *„ და ვითა მიიწინენ პალატსა შენა და დადვან ფეშხუმსა ზედა გვრგვნი, სკიპტრა, პორფირი და ბისონი...“*[70] პორფირი და ბისონი იყო ის სამეფო სამოსი, რომლითაც მეფე იმოსებოდა კურთხევის

[70] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 50.

ცერემონიის დროს. საინტერესოა აღნიშნული სამოსი ტრადიციული ქართული იყო თუ სხვა ქვეყნის გავლენით შემოსული სამეფო კარზე. X–XI საუკუნეებში, როდესაც ჩამოყალიბდა ერთიანი ქართული მონარქია მეფეთა სამოსზე და ზოგადად ქართულ კულტურაზე დიდი გავლენა მოახდინა ბიზანტიურმა კულტურამ. ამ პერიოდში ბიზანტიური კულტურა დახვეწილი და ძლიერი იყო. ქართველი მეფეები ბიზანტიურ სამეფო ტიტულებთან ერთად საჩუქრად იღებდნენ სამოსს, როგორც ერთ–ერთი ინსიგნიის შემადგენელ ნაწილს, რომელიც შემდეგ უკვე თანთდათან ხდებოდა მეფის ცერემონიალური სამოსი. ასე, რომ მგავსება ბიზანტიელ იმპერტორთა და ქართველ მეფეთა სამოსს შორის გასაკვირი არ არის.

განვიხილოთ ამ პერიოდის ფრესკები, სადაც ქართველი მონარქები არიან გამოსახული სამეფო ცერემონიულ სამოსში. საინტერესოა გელათის ფრესკები, რომლის მიხედვით იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565) და თავისი ვაჟი, გიორგი II (1565-1585) და, ასევე, საქართველოს მეფე დავით IV აღმაშენებელი (1089–1125) შემოსილნი არიან ტერფამდე გრძელი და წელში გაწყობილი ბისონებით, რომელთა კალთისძირები ფართო, ფიგურიანი არშიითაა შემოვლებული. სახელოები მაჯებთან ოქროჭედილი ყოშებით აქვთ მოჭერილი. სამივეს ამკობს სპეკალებით მოფენილი, ოქროჭედილი მანიაკი და ,,ლორო'' (ლორო ეწოდება განიერ არშიას, რომელიც მეფისა და დედოფლის სამოსელზე ცალი ბოლოთი წინ იყო ჩამოფენილი, ხოლო მეორე ბოლოთი გადაგდებული იყო მარცხენა მკლავზე). გიორგისა და დავითის ტუნიკები მწვანე ფერისაა, სახიანი, ხოლო ბაგრატის კი შინდისფერი. სამკლავე კი მხოლოდ დავით მეფეს აქვს.[71]ქართველი მონარქების და ბიზანტიელი იმპერატორების სამოსის მსგავსევას ეხმაურება ანტონი ისტმონდი თავის წიგნში „Royal Imagery in Medival Georgia“, სადაც იგი ეხება მეფე დავითის ერთ-ერთ მონეტას, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული და აღნიშნავს, რომ მონეტა მეფეს, როგორც ნამდვილ

[71] ი. ციციშვილი. მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისთვის. თბ. 1954, გვ. 87.

ბიზანტიელ მმართველს ისე წარმოადგენს. მას ლორო აცვია, აქვს კვერთხი და, ასევე, გვირგვინს ჯვარი ამშვენებს. ავტორი თვლის, რომ დავითი ამ მონეტაზე მთელი თავისი დიდიებითაა წარმოდგენილი.[72]

როგორც ვხედავთ მეფეების სამეფო სამოსი ერთი სტილისაა და მხოლოდ პატარა დეტალებით განსხვავდება, ის მკაცრად რეგლამენტირებულია და მისი მნიშვნელობა საკმაოდ დიდია. რაც შეეხება თამარ მეფის სამეფო სამოსს, ის არაფრით განსხვავდება მამაკაცი მონარქების სამოსისგან. თამარ მეფე ვარძიის ფრესკაზე იისფერი ბისონით არის შემოსილი, რომელიც მორთულია მარგალიტის ზოლებით, ზოლების კვეთა წარმოქმნის რომბებს.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს მძიმე პერიოდი დაუდგა, რომელიც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გაგრძელდა. ქვეყნის შიდა პოლიტიკურ კრიზისს დაემატა მონღოლური, შემდეგ ყიზილბაშურ-ოსმალური დაპყრობები. ბიზანტიის იმპერია ჩვენი ქვეყვნისთვის იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაღალი კულტურის მქონე მეზობელი იყო, მისი დაცემა კი ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ ცხორებაზე ნეგატიურად აისახა. ჯერ მონღოლ-თათრები ცდილობდნენ თავიანთი წეს-ჩვეულებების დანერგვას ჩვენს ქვეყანაში, რაც გარკვეული დოზით მოხდა კიდეც. თავისთავად ხდებოდა სხვადასხვა სიახლის შეტანა უკვე არსებულ ტრადიციებში. ადრე თუ ბიზანტიის იმპერატორის მიერ გამოგზავნილი ითვლებოდა საპატიოდ, ახლა უკვე ის სპარსულმა ჩაანაცვლა. შაჰის ან სულთნის გამოგზავნილი სამოსი ისეთივე მნიშვნელოვანი გახდა, როგორც წინათ იმპერატორის მიერ გამოგზავნილი ინვესტიტურა. სხვადასხვა ცერემონიებზეც სწორედ აღმოსავლური სტილის სამოსით წარდგებოდა მეფე, რადგან ახლა სხვა მოთხოვნილებები განსაზღვრავდა მის ჩაცმულობას.

საინტერესო ცნობებია დაცული რუსი ელჩის ტოლოჩანოვის ჩანაწერში, ის

[72] A. Eastmond. Royal Imagery in Medieval Georgia, გვ. 56.

იმერეთის მეფე ალექსანდრესთან სტუმრობას მუხლობრივად აღწერს. დეტალურადაა აღწერილი როგორ დახვდა მას მეფე, რაც ნათელ მაგალითს წარმოადგენს თუ რა ხდებოდა XVII საუკუნის მეორე ნახევრის იმერეთის სამეფო კარზე. ვკითხულობთ: *„როცა მეფის წინაშე წარვდექით იგი ხალიჩაზე ხეფმორთხმული იჯდა, მას ხალიჩაზე დაფენილი ჰქონდა ფეხქვეშ გასაშლელი, ხოლო უკან ზურგის მხარეს , ხავერდზე მოქარგული ბალიში, ბალიშზე ზემოთ თეთრ ფონზე მოქარგული საჩრდილობელი. ალესანდრე მეფეს თავზე კოშკური კუთხედებიანი გვირგვინი ედგა მარგალიტით და თვლებით გაწყობილი. გვირგვინს შუაზე ოქროს ჯვარი ჰქონდა ალმასებით, იაგუნდებით და ზურმუხტებით შემკული. ხელში მოოქრული და თვლებით გაწყობილი კვერთხი ეპყრა, ხოლო სფეროზე წმ. სახე იყო ამოჭრილი. ტანთ სისამურის ქათიბი ეცვა ოქრომკერდით ხავერდზე გაწყობილი და ფარჩის კაბა ოქრომკერდით მოქარგული, ქათიბის გარშემო ოქროს ბაფთა ჰქონდა შემოვლებული. . . . როცა საჭმელების მოტანა და დალაგება დაიწყეს, ალექსანდრე მეფემ გვირგვინი მოიხადა და იქვე მოიტანეს ვერცხლის დაბალფეხებიანი შავი ხავერდით გაწყობილი გვირგვინის დასადგამი, ხავერდს ოქრო ჰქონდა გარს შემოვლებული და ამაზე დადეს გვირგვინი, იქვე სკიპტრაც დადეს მეფის წინ. ალექსანდრე მეფეს შავი ხავერდის ქუდი მოუტანეს, რომელიც მარგალიტით და ძვირფასი ქვებით იყო ჯვარედინად გაწყობილი . . . ხოლო მეფე ყიზილბაშურად უმაგიდოდ მიირთმევდა. მის წინ მოქეიფენი მუხლებზე იდგნენ. საჭმელებს მეფეს, სასულიერო პირებს, ელჩებს და აზნაურებს სუფარაჯები მოართმევდნენ, ეს უკანასკნელნი თურქულ ოქროს და ვერცხლის ფერად მოსირმულ ჩოხებში, ხავერდისა და ატლასის ტანსაცმელებში იყვნენ გამოწყობილნი. აზნაურებიც ასეთსავე სამოსში გამოწყობინი ისხდნენ“.*[73] მოტანილი ციტატა ნათლად აღწერს იმ პოლიტიკურ მდგომარეობას, რაც ამ პერიოდში იყო. მეფე წესისამებრ გამოწყობიალი ცერემონიალურ სამოსში, მისი ჯდომის თუ სამყოფლის აღწერა მიგვანიშნებს

[73] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა (1650–1652 წწ.). გამოსცა ი. ცინცაძემ. თბ. 1970, გვ. 98–100.

სპარსული სტილის გავლენაზე, ეს აღარაა ლოროსში გამოწყობილი მეფე, მაგრამ მისი ძვირფასი სამოსი მის უზენაესობას უსვავს ხაზს. მეფის ასეთი დახვედრა და მომზადება მიგვანიშნებს, რომ მისთვის ეს აუდიენცია საკმაოდ მნიშვნელოვანია. როგორც ელჩი შენიშნავს, მას ცერემონიის დროს სხვა, უფრო ძვირფასი გვირგვინი ედგა თავზე და შემდეგ პურობის დროს შეუცვალეს სხვა გვირგვინით. ასევე მეფის სამოსში ხაზი აქვს გასმული იმას, რომ ის მაინც ქრისტიანი მონარქია და ჯვრები ამშვენებს მის სამოსსა თუ სხვა სამეფო ინსიგნიებს. ეს თვითონ ელჩებისთვისაც უნდა ყოფილყო მინიშნება, რომ ერთი სარწმუნოება უნდა გამხდარიყო ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განმტკიცების გარანტი.

შემდეგ მნიშვნელოვანი ცნობები, რომელიც ფრანგ მოგზაურ, ჟან შარდენს აქვს შეეხება ვახტანგ V–თან აუდიენციას. მიუხედავად იმისა, რომ მოგზაური მეფის სამოსის დეტალურ აღწერილობას არ გვაძლევს მისი ცნობები კვლავ მიუთითებს იმ სპარსულ გავლენაზე, რომელზეც საუბრობდა რუსი ელჩი ტოლოჩანოვი. განსხვავება ის არის, რომ ვახტანგ V, ანუ შაჰნავაზ–ხანი შაჰის კარზე გაზრდილი იყო და მეტად ჰქონდა შეთვისებული მაჰმადიანური რჯული და ზნე-ჩვეულებები. შარდენი აღნიშნავს: *„შაჰნავაზ-ხანი მოითხოვს მასთან პირველად მიახლოებისას ისეთივე წესით მიესალმონ, როგორც სპარსეთის ხელმწიფეს: მისგან ორი თუ სამი ნაბიჯის დაშორებით მუხლს იდრეკენ და ზედიზედ სამჯერ თავსა ხრიან მიწაზე“.*[74] შემდეგ ის ესწრება ნადიმებს და თურქულიჭურჭლის სიუხვე აკვირვებს. საინტერესო სურათია ქრისტიანული ქვეყნის კულტურის და მაჰმადიანურის გავლენის.

1745 წლამდე მეფეებისთვის ცერემონიალურ სამოსად შეიძლება მხოლოდ ელჩობებზე გამოყენებული სამოსის ჩაითვალოს, რადგან გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ ხდებოდა მეფედ კურთხევა. ამის შემდეგ კი კვლავ ვხედავთ პაპუნა ორბელიანთან მეფედ კურთხევის ცერემონიის დროს რა ინსიგნიები უნდა

[74] ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია). რედაქრორი რ. მეტრეველი. თბ. 2004, გვ. 337–338.

გამოეყენებინათ. ვკითხულობთ: *„მოიტანეს სამეფო შესამოსელი, პორფირი, ბისონი და დიადემა ბოხჩებით, აგრეთვე გვირგვინი, ჯმალი, სკიპტრა და ქვეყნისა სფეროი“*.[75] როგორც ვხედავთ ერთგვარი შემობრუნებაა იმ ძველი ტრადიციების და ცერემონიალური სამოსის მიმართ, რომელიც საუკუნეების მანძილზე ქართველი მეფეებისთვის შეუცვლელი იყო. ერთმორწმუნე რუსეთის იმპერიის საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლამ და ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან ურთიერთობამ კვლავ წინ წამოსწია ქრისტიანული წეს–ჩვეულებები.

გვიანი შუა საუკუნეების დასასრულს გარდამავალი პერიოდია, სპარსულ–თურქულის გავლენა სუსტდება და წინ წამოიწევს კვლავ ქრისტიანული და ძველი ქართული ტრადიციები თავისი ცერემონიებით. მეფის ცერემონიალური სამოსი იცვლებოდა იმის მიხედვით თუ როგორი იყო პოლიტიკური მდგომარეობა, რა მოთხოვნილებები იყო საერთაშორისო ასპარეზზე. მეფის ცერემონიალური სამოსი ნებისმიერ შემთხვევაში იყო განსხვავებული, ძვირფასი და მნიშვნელოვანი, ის ყოველთვის ერთ-ერთი ინსიგნიის ფუნქციას ასრულებდა. მეფის ცერემონილური სამოსის შემადგენელი ნაწილები, თვითონ სამოსის დასამზადებელი მასალა, მისი სტილი და სხვა. მიანიშნებდა იმ პოლიტიკურ და კულტურულ მდგომარეობაზე, რომელიც იყო იმ პერიოდის საქართველოში.

[75] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, გვ. 103.

თავი VI

უცხოელი სტუმრის მიღება

უცხოელი სტუმრის მიღებას საქართველოში დიდი ისტორია აქვს. ჩვენი ქვეყანა ყოველთვის გამოირჩეოდა სტუმართმოყვარეობით, უცხოელი სტუმრის ღირსეულად მიღება და გამასპინძლება საუკუნეების მანძილზე უცვლელ ტრადიციად რჩებოდა. სამეფო კარზე უამრავ დიდმოხელის გვერდით იყო სპეციალური მოხელე მესტუმრე, რომელიც მანდატურთუხუცესის უწყებაში იყო შესული და მას ევალებოდა სტუმრის მიღება-გაცილება, უცხოელი ელჩებისა და დიპლომატიური მისიების მიღება, ასევე, მათზე ზრუნვა. ტერმინ მესტუმრეს მოხსენიება ხშირია XIV-XVI საუკუნეების საბუთებში. რაც შეეხება მეფე როსტომის პერიოდს ქართული მესტუმრე ტერმინოლოგიურად სპარსული მეჰმანდარით შეიცვალა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ტერმინოლოგიური

ცვლილება, რადგან ამ თანამდებობას ფუნქციური ცვლილება არ განუცდია. XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ საბუთებში ორივე ტერმინი გვხვდება. ნათელია, რომ საუკუნეების განმავლობაში იყო საჭიროება სამეფო კარზე ყოფილიყო მესტუმრეს თანამდებობა. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის გაძლიერება განვითარებასთან ერთად იცვლებოდა სხვადასხვა მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა, ხშირად აუცილებელი იყო ჩვენი ქვეყნიდან ელჩების გაგზავნა და, ასევე, სხვა ქვეყნის წარმომადგენლის მიღებაც. იმის მიხედვით თუ ვინ ესტუმრებოდა სამეფო კარს წინასწარ მოფიქრებული და დადგენილი წესების შესაბამისად ხვდებოდნენ. როგორ დახვედრას მოუწყობდნენ და როგორ გაუმასპინძლდებოდნენ სტუმარს დამოკიდებული იყო სტუმრის სოციალურ სტატუსზე და იმაზე ვისგან, ან რა მისიით იყო მოვლენილი სამეფო კარზე. რაც უფრო მაღალი სოციალური ფენიდან იყო სტუმარი, მით უფრო მეტი პატივით უნდა მიეღოთ. ეს ყველაფერი კი მეფის ბრძანების საფუძველზე ხდებოდა.

საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი პერიოდი იყო XI-XII საუკუნეები, როდესაც გაერთიანებული მონარქიის პირობებში ქვეყნის განვითარებამ უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო. საქართველო ამიერკავკასიაში ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყნად მოიაზრებოდა, შესაბამისად, გაჩნდა მოთხოვნა დიპლომატიური ურთიერთობების უფრო მეტად წინ წამოწევის და დახვეწის. რა თქმა უნდა, შუა საუკუნეების საქართველოში უცხოელ სტუმარში მოაზრებოდა „დესპანი“, რომელსაც სხვადასხვა ქვეყანა გზავნიდა განსაზღვრული მისიით. საქართველოს სამეფო კარი იღებდა და აგზავნიდა ელჩებს, ეს ქვეყნის განვითარების კიდევ ერთი მაჩვენებელი იყო. თავდაპირველად საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობებს „მოციქული“, ანუ „დესპანი“ ახორციელებდა. სიტყვა „ელჩი“ კი XIII საუკუნიდან ჩნდება, აღსანიშნავია რომ დიპლომატიური წარმომადგენელი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც საერო, ასევე სასულიერო პირი. მოციქული, ანუ დესპანი, მაღალ წოდებას ეკუთვნოდა, ასევე,

სასურველი იყო შესაბამისი განათლება და გამოცდილებაც ჰქონოდა. ძველ ქართულში ელჩის გაგზავნას „მივლენა“ ან „წარვლენა“ ეწოდებოდა.[76]

ქვეყნის გასვლამ საერთაშორისო ასპარეზზე წინ წამოსწია დიპლომატიური პროტოკოლის აუცილებლობა. ამიტომ XI-XII საუკუნეებში ელჩების მიღების ცერემონიამ უფრო სრულყოფილი სახე მიიღო. რაც უფრო მაღალი რანგის სტუმარი ეწვეოდა ქვეყანას მით უფრო რთული ცერემონიალით ხვდებოდნენ მას. ამ პერიოდში მიღებული იყო უცხო ქვეყნიდან მოვლენილი სტუმრის ანუ ელჩის შეგებება, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ სტუმარს გზაში ეგებებოდნენ და მიჰყავდათ სამეფო კარზე. სამეფო კარის დადგენილების მიხედვით სტუმრებს ბინით და კვებით უზრუნველყოფდნენ. იმართებოდა მეფესთან აუდიენცია, რასაც მოჰყვაბოდა „პურობა“, ანუ „ნადიმი“. საქართველოში მოსულ ელჩს თუ სტუმარს დაასაჩუქრებდნენ და ისე აგზავნიდნენ თავის ქვეყანაში.

იმის მიხედვით თუ ვინ იყო ქვეყანაში ჩამოსული უცხო სტუმარს მეფე საერო და სასულიერო პირთა თანხლებით ხვდებოდა. სტუმრის დასაჯდომი ადგილიც კი მიგვანიშნებდა რამდენად მნიშვნელოვანი და პატივსაცემი სტუმარი იყო მობძანებული. მაგალითად, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“ საინტერესოდაა აღწერილი გიორგი III–ის დროს ანდრონიკე კომნენოსის სტუმრობა სამეფო კარზე. თხზულებაში ვკითხულობთ: *„მოვიდა ოდესმე ანდრონიკე კომნიანოსი ცოლითა სახებრწყინვალითადა შუენიერითა, თანა შვილებითურთ და დისწულითა, მამის ძმისწული დიდისა მანოველ კეისრისა და ყოვლისა დასავლეთისა და საბერძნეთისა მეფისა. და ვითარ მართებდა, ეგრეთ მადლობელმან ღმრთისამან შეიწყნარა და მისცა პატივი შესატყვსი სახლისშვილობისა მისისა. და მიმცემელმან ქალაქთა და ციხეთამან კმასაყოფელთამან დაუდგნა საჯდომელნი სიახლესა საყდრისა თჳსისასა, პირისპირ მამის დისწულისა მისისა აღსართანისა, რომელი იყო შირვანისა ზღჳსპირისა*

[76] ქართული დიპლომატიის ისტორია. მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2003, გვ. 243.

დარუბანდით ხირხალამდის, რომელი მეფესა უჩნდა ვითარცა შვილი და ვითარცა ერთი დიდებულთა მისთავანი“. [77] როგორც ვხედავთ, სტუმრის სტატუსის გათვალისწინებით მისთვის ადგილი მეფის სიახლოვეს მიუჩენიათ. ასეთი ვითომ ელემენტარულ დეტალებზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდებოდა იმის დადგენა თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისთვის ამა თუ იმ სახელმწიფოს წარმოადგენლის სტუმრობა.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, საქართველოში მოვლენილი ელჩი თუ სტუმარი გარკვეული პრივილეგიებით და იმუნიტეტით სარგებლობდა. არავის ჰქონდა უფლება მათთვის შეურაწყოფა მიეყენებინა, მითუმეტეს ფიზიკური ძალადობა გამორიცხული იყო. ერთი განსხვავებული შემთხვევა კი რუმის სულთნის, რუქნადინის ელჩის ვიზიტია თამარ მეფის კარზე. რუმის სასულთნოს ელჩმა შეასრულა თავისი მისია და წერილთან ერთად მეფეს რუქნადინის პირადი დანაბარები გადასცა, რომელიც მეფისთვის შეურაწმყოფველი იყო. ზაქარია ამირსპასალარის ქმედება და სიტყვები ისტორიკოსს საგანგებოდ აქვს ჩანიშნული. ტექსტში ვკითხულობთ: *„... ვითარ ამპარტავნად იტყოდა სიტყუათა ამათ, წარმოდგა ზაქარია ამირსპასალარი და უხეთქნა ჴელითა პირისა და ვითარცა მკუდარი დაეცა და იდვა. ვითარ აზიდეს და ამართეს და ცნობად მოვიდა, რქუა ზაქარია:“თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა აღმოკუეთა იყო შენი სამართალი და მერეღა – თავისა, კადნიერად კადნიერებისათვის“.* ამის შემდეგ კი წესი არ დაურღვევიათ და *„შემოსეს და ნიჭი უბოძეს, წარგზავნეს პასუხითა მწუავითა“.*[78] ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ელჩის პრივილეგია და იმუნიტეტი დაირღვა, მაგრამ ასეთი ინციდენტიც პირველი იყო სამეფო კარზე, რადგან მეფისთვის შეურაწყოფის მიყენება წარმოუდგენილი იყო. მიუხედავად ყველაფრისა, წესი არ დაურღვევიათ და რუქნადინის ელჩი დასაჩუქრებული გაუგზავნიათ. რაც იმის მანიშნებელია, რომ ქართულ ტრადიციებს

[77] ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი. გამოსცა გ. კარტოზიამ, გვ. 392–393.
[78] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 463–464.

დიდ პატივს სცემდნენ.

ამის შემდეგ პერიოდში მონღოლების გაბატონებას მოჰყვა პოლიტიკური და კულტურული წნეხი, შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურსა თუ კულტურულ ცხორებაშიც ამ ყველაფერმა თავისი გამოძახილი ჰპოვა. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სამეფო კარზე უცხოელი სტუმრის მიღება ხდებოდა იმის გათვალისწინებით თუ რა კულტურის სტუმარი იყო მოსული. მასპინძლები ცდილობდნენ სტუმარი ისე მიეღოთ, როგორც წესი და ტრადიცი მოითხოვდა, მაგრამ მაინც უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ის ნიუანსები თუ როგორ ხვდებოდნენ სტუმრებს ანუ ელჩებს თვითონ იმ ქვეყანაში. ამიტომ მონღოლებთან ურთიერთობამ გამოიწვია სტუმრის მიღების ცერემონიაში გარკვეული ცვლილებები, მაგრამ ძირითადი ნაწილი მაინც იგივე რჩებოდა. საკმაოდ ხშირად ხდებოდა მონღოლთა მხრიდან ელჩების გამოგზავნა, შესაბამისად უცხოელი სტუმრის მიღების ცერემონიაში დამკვიდრდა მონღოლური ელემენტები. ინტენსიურმა ულჩობებმა გამოიწვის იმის აუცილებლობა, რომ XIII საუკნეში მონღოლი ელჩის საჭიროებისთვის დაწესებულიყო ულაყისა და ულუფას გადასახადი.

XIII-XV საუკუნეების განმავლობაში უცვლელად რჩებოდა ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად ედო უცხოელი სტურის მიღებას. უცხო სახელწიფოდან მოვლენილ სტუმრებს, ანუ ელჩებს კვლავ ენიჭებოდათ გარკვეული პრივილეგიები და იმუნიტეტი. მათ უსაფრთხოდ უნდა შეესრულებინათ დაკისრებული მოვალეობა. მათ საპატიო დახვედრას უწყობდნენ, უმართავდნენ ფარულ და ღია მოლაპარაკებებს, უზრუნველყოფდნენ ბინითა და კვებით, ბოლოს კი დასაჩუქრებულებს გაცილებას უწყობდნენ. ასეთი იყო უცხოელი სტუმრის მიღების ცერემონიალი ამ პერიოდში. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XIV საუკუნის მეორე ნახევასა და XV საუკუნის განმავლობაში ქვეყანაში სერიოზული კრიზისი იყო, დაშლის გზაზე მყოფი ქვეყნისთვის უცხოელი სტუმრების მიღების ცერემონია ხშირად ყველა წესის დაცვით ვეღარ

ხდებოდა. მიუხედადად ამისა ამ პერიოდში დიპლომატიურმა მისიებმა დიდი როლი შეასრულა ქართულ პოლიტიკურ ცხორებაში.

ერთიანი მონარქიის პირობებში ჩამოყალიბებული და მიღებული უცხოელი სტუმრის მიღების ცერემონია დაედო საფუძვლად სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ წარმოქმნილ პოლიტიკურ ერთეულებს. ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფო კარზე თითქოს ორიგინალური უცხოელი სტუმრის მიღების ცერემონია უნდა ჩამოყალიბებულიყო, მაგრამ რადიკალურად განსხვავებული ნამდვილად არა. XVI-XVII საუკუნეებში, რა თქმა უნდა, მეფე იყო მთავარი გადაწყვეტილებების მიმღები, მაგრამ უცხოელი სტუმრის მიღებაში აქტიურად მონაწილეობდნენ სამეფო დარბაზი და მეფის პირადი სამდივნო. აღსანიშნავია, რომ მდივნებს სპეციალური განათლება და ენების ცოდნა მოეთხოვებოდათ, საჭიროების შემთხვევაში მათ თარჯიმნის ფუნქცია უნდა შეეთავსებინათ.

XVII საუკუნის უცხოელი სტუმრის მიღების ცერემონილი შეგვიძლია განვიხილოთ კერძო მაგალითის საფუზველზე. რუსეთის ელჩები ნიკიფორე ტოლოჩანოვი და ალექსი იევლევი იმერეთში მეფე ალექსანდრე მესამესთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ. ამ ყველაფერს კი სრული სიზუსტით აღეწერენ. კერძოდ ვკითხულობთ: *„ივნისის 20, ჩვენ ელჩები ნიკიფორე ტოლოჩანოვი და მდივანი ალექსი იევლევი, რაჭის ციხე ქალაქიდან გავემგზავრეთ,...და როდესაც ელჩებმა ქუთაისის ციხის მახლობლად მივაღწიეთ ... მთაზე კარვები დაგვხვდა ... აქ ვიდექით ელჩები ორი დღე–ღამე. ამ კარვებიდან, მეფის ბრძანებით ჩვენმა მეურვეებმა გარეუბნის სახლებში გადაგვიყვანეს. ივნისის 24 ალექსანდრე მეფემ თავისი მდივანი ფეშანგი „ამირევი“ გამოგვიგზავნა და გვიბრძანა მას საელჩო საქმებზე მოსალაპარაკებლად ვხლებოდით“.*[79]

მოლაპარაკებების გამათვის შემდეგ აღნიშნავენ რომ მათ მეფე ალექსანრდეს

[79] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, გვ. 94.

საჩურები გადასცეს, მეფემ მადლობა გადაუხადა და უთხრა, რომ თვითონ აპირებდა მათ დასაჩუქრებას. შემდეგ კი: *„როცა ელჩების ცერემონიალს მოვრჩით, კარვებიდან გამოვედით, მაგრამ ბინაზე არ გაგვიშვა, ერთ შემაღლებულ ადგილზე საჩრდილობელში გაგვგზავნა, გვიბრძანა ცოტა დაგვეცადა იქ და მაშინვე სუფრაზე მიწვევა გვაუწყა ... სუფრაზე მისაწვევად აზნაურები და სასულიერო პირები გამოგვიგზავნა მეფემ და, როდესაც მეფის წინაშე წარვსდექით, თვით მეფემ მიგვითითა დასაჯდომ ადგილზე. იწყეს სუფრის გაშლა და პურის ნაცვლად თხლად გამომცხვარი ლავაშები „ხმიადები“ დააწყვეს სუფრაზე ... ხოლო მეფე ყიზილბაშურად უმაგიდოდ მიირთმევდა. მის წინაშე მერიქიფენი მუხლებზე იდგნენ. საჭმელებს მეფეს, სასულიერო პირებს, ელჩებს და აზნაურებს სუფრაჯები მოართმევდნენ ... ამის შემდეგ ჯერ ხილეულობა მოიტანეს, ჯერ მეფეს მოართვეს, შემდეგ სასულიერო პირებს, ელჩებს ნიკიფორეს და ალექსის და შემდეგ აზნაურებს ... როდესაც ალექსანდრე მეფისაგან წავედით ელჩებს ბინამდე სანათურებით და ჭრაქებით წინ მიგვიძღოდნენ, ხოლო მოგვაცილებდნენ მეფის მახლობელი პირები“.* [80]

შემდეგ აღწერილია რამდენიმე აუდიენცია მეფესთან, რომლებზეც დიდი პატივით იღებდნენ უცხოელ სტუმრებს და როგორ უმასპინძლდებოდნენ. ბოლოს კი ყურადღებას გავამახვილებთ ფინალზე. ელჩობის ჩანაწერებში ვკითხულობთ: *„ოქტომბრის 10 ალექსანდრე მეფემ თავისი სულიერი მოძღვარი ზაქარია მიტროპოლიტი, ფეშანგ მდივანი, აზნაურები, მეურვენი, რომელნიც ჩვენზე, ელჩებზე იყვნენ მომაგრებლნი, ზაქარია და სეხნია გამოგზავნა. ამასთან ერთად ურმებში გაბმული ცხენებიც ელჩებისა და ხელმწიფის ხალხისთვის, და ურმები ბარგისთვის გამოეგზავნა. გამცილებლად ზაქარია იყო ქუთაისიდან, ლომკაცის ბინამდე. ლომკაცთან ჩვენ მამუკა და იური „კანშოვი“ შეგვხვდებოდნენ, მათთან კი ქვეითად მომავალი კაცებიც იქნებოდნენ, რომელთაც მხრებზე უნდა გადაეტანათ ჩვენი ბარგი*

[80] იქვე, გვ. 100.

მთებზე“.[81]

როგორც ზემოთ მოტანილი ციტატებიდან ჩანს იმერეთის სამეფო კარზე ერგვარად ჩამოყალიბებული უცხოელი სტუმრის მიღების ცერემონიას ვხედავთ. სტუმრების დახვედრა, მათი უზრუნველყოფა ბინითა და კვებით, მათზე მიმაგრებული დამხმარეები, ოფიციალური მიღება და არაოფიციალური პურობა-ნადიმობა, შემდეგ ღირსეული გაცილება ეს ყველაფერი იმის ნიშანი იყო, რომ ელჩების მიმღები სამეფო ნამდვილად კულტურულ, ცივილიზებულ ნაწილს ეკუთვნოდა და ამასთან დაინტერესებულიც იყო ელჩები კმაყოფილები გაეგზავნა უკან. თვითონ ელჩების მიერ ჩაწერილი ინფორმაცია კი ძალიან მნიშვნელოვანი წყაროა იმ პერიოდის იმერეთის სამეფო კარის შესახებ. აშკარაა, რომ არც ელჩები წასულან აქედან უკმაყოფილოები და თავიანთი მისიაც წარმატებით შეასრულეს.

ამის შემდეგ საინტერესოა ფრანგი მოგზაური ჟან შარდენის აუდიენცია ვახტანგ V–სთან, რომელიც ასევე აღწერს თუ როგორი პატივით მიიღეს, გაუმასპინძლდნენ, ზრუნავდნენ მის თავშესაფარსა და საკვებზე. ამ შემთხვევაში ელჩის მიღების ცერემონია თითქმის ისეთივეა, როგორიც ტოლოჩანოვის შემთხვევაში. განსხვავება ის არის, რომ შაჰნავაზ-ხანი ირანის შაჰის ვასალი იყო და ქართლის სამეფო კარზე სპარსული გავლენა უფრო მეტად იგრძნობოდა.[82]

რაც შეეხება XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთში უცხოელი სტუმრის მიღების ცერემონიას, მან შედარებით სრულყოფილი სახე მიიღო და დაუხლოვდა ევროპული სტილის ნიმუშს. ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოში უცხოელი სტუმრის მიღების ცერემონია ყოველთვის ჰგავდა და უახლოვდებოდა ევროპულს, სამწუხაროდ იყო შემთხვევები, როდესაც ქვეყანა დიდ გასაჭირში მყოფი სათანადო ყურადღება ვერ უთმობდა ამ მიმართულებას. ერეკლე II-მ გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმები, რის შედეგადაც საგარეო საქმეთა უწყება ცალკე ჩამოყალიბდა,

[81] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, გვ. 142.
[82] ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია), გვ. 337–339.

რომელსაც მდივანთუხუცესი ხელმძღვანელობდა. ცნობილია, რომ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ორი მდივანთუხუცესი ჰყავდათ: ერთი–მართლმადიდებელი, რომელიც ქრისტიან სახელმწიფოებთან ურთიერთობებს ხელმძღვანელობდა და მეორე – მუსლიმი, ამ მდივანთუხუცესს მაჰმადიანურ სახელმწიფოებთან ურთიერთობა ებარა. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უცხო ქვეყნის ელჩებს ისეთ დახვედრას უწყობდნენ, როგორი დამოკიდებულებაც ჰქონდა თავად ამ ქვეყანას ქართულ პოლიტიკურ ერთეულთან.

გვიან შუა საუკუნეებშიც მეფე იყო მთავარი ფიგურა, რომლის ბრძანების მიხედვით ხდებოდა უცხოელი სტუმრის მიღება. თუ უცხო ქვეყნის წამომადგენლის ვიზიტის შესახებ ადრე იყვნენ გაფრთხილებულნი, მაშინ სამზადისიც შესაბამისად ადრე იწყებოდა. როდესაც მნიშვნელოვანი შეხვედრა იგეგმებოდა სამეფო კარს საგანგებოდ ალამაზებდნენ. მეფე ასეთი ოფიციალური და მნიშვნელოვანი აუდიენციის დროს საზეიმო, ძვირფას სამოსში გამოწყობილი უნდა ყოფილიყო და სამეფო ნიშნებით წარმდგარიყო სტუმრის წინაშე. სასახლეში, ასევე, იწვევდნენ ქვეყნის წამყვან პოლიტიკურ და სასულიერო პირებს, მეფე მათთან ერთად ხვდებოდა უცხოელ ელჩებს.

ბოლოს შეგვიძლია ერთი მაგალითი კიდევ განვიხილოთ, რომელიც კიდევ ერთხელ დაგვანახებს იმ დეტალებს, რასაც მოიცავდა XVIII საუკუნის დიპლომატიური ეტიკეტი. ერეკლე II-ის და გენერალ ტოტლებენის შეხვედრას საინტერესოდ აღწერს დე გრაი დე ფუა. მასთან ვკითხლობთ: *„მეფე ერეკლე თვით მოემართებოდა გრაფ ტოტლებენთან შესახვედრად. როდესაც გრაფმა შეიტყო, რომ ერეკლე მოუახლოვდა, იგი მაშინვე გაემართა მის შესახვედრად სამი თუ ოთხი ოფიცრის თანხლებით ... მას ეგონა, რომ მაშინვე შევიდოდა მეფის ჩარდახში, მაგრამ მეტად განცვიფრებული დარჩა, როდესაც მას გამოეგება თორმეტამდე ქართველი დიდებული ხელში დიდი თეთრი კვერთხებით. მდაბალი სალამი მისცეს და სალამი მისცეს და მისთვის*

გამზადებულ კარავში შეიპატიჟეს ... ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა ოთხი ქართველი დიდებული, რათა მისალმებოდნენ მას ერეკლეს სახელით ... გრაფი განცვიფრებული იყო. მას წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ პატარა აზიელი ხელმწიფე ესოდენ ძნელი სანახავი იყო. საათზე მეტი იცადა ... ბოლოს მას განუცხადეს, რომ შეეძლო წარსდგომოდა მეფეს. თორმეტი ქართველი თეთრი კვერთხებით ხელში წინ უძღვოდა მას. ერეკლე სპარსული სახის ლამაზ ჩარდახში იყო. როდესაც ტოტლებენმა ჩარდახის წინკარს მიაღწია, მას წარუდგა ერეკლეს ვაჟი. ტოტლებენი გადაეხვია მას, რამაც განაცვიფრა ეს ყმაწვილი კაცი, ვინაიდან ჩვეულება იმისა, რომ მამაკაცები ერთმანეთს გადახვეოდნენ, საქართველოში ჯერ მიღებული არ არის. შემდეგ კარებში მას დახვდა ერეკლეს ბიძა, საქართველოს პატრიარქი. გრაფმა მოინდომა გადახვეოდა მას, მაგრამ პატრიარქმა უკან დაიხია, პირჯვარი გადასახა მას და პირველი შევიდა ჩარდახში. ტოტლებენი შეჰყვა მას. ერეკლე ნოხებზე იჯდა. იგი წამოდგა, როდესაც დაინახა, რომ გრაფი შემოდიოდა. გვერდით მოისვა. დასხდნენ პატრიარქი და ერეკლეს ვაჟიშვილიც ... ბოლოს ტოტლებენი წამოდგა და ერეკლეს გამოეთხოვა ... ტოტლებენი წამოვიდა და ერთადერთი, ვინც ჩარდახიდან გამოაცილა, იყო ერეკლეს უფროსი ვაჟი, ბატონიშვილი გიორგი. გრაფი მეტად უკმაყოფილო დაბრუნდა. მას ეგონა, რომ საქმე ექნებოდა მასავით აჩქარებულ კაცთან, რომელიც მიიღებდა მის წინადადებას და მის განხორციელებასაც უმალვე შეუდგებოდა“.[83] მთელი ეს ცერემონია ნათლად გამოხატავს იმ ინტერესებს, რაც ამოძრავებდა ორივე მხარეს. ასევე საინტერესოა ის, რომ ქართული დიპლომატიური ეტიკეტი და სტუმრის მიღების ცერემონია უფრო დახვეწილი ჩანს, ვიდრე გენარალ ტოტლებენის „თავისუფალი“ ქცევა, რომელიც არ ჯდებოდა ქართულ სტუმრის მიღების ტრადიციულ ცერემონიაში. მაგრამ, როგორც ვხედავთ ეს აუდიენციაც გარკვეული წესების დაცვით ჩაუტარებიათ.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, გვიან შუასაუკუნეებში საქართველოში

[83] ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია), გვ. 375–379.

უცხოელი სტუმრის მიღების ცერემონია შემდეგი ნაწილებისგან შედგებოდა: სტუმარს საზღვართან ხვდებოდნენ და მის უსაფრთო გადაადგილებას უზრუნველყოფდნენ; აუცილებელი იყო სტუმრების ბინითა და საკვებით უზრუნველყოფა, სამეფო კარზე საპატიო მიღებას მოჰყვებოდა მეფესთან სადილობა, იმართებოდა ღია თუ ფარული მოლაპარაკებები, ბოლოს კი საპატიო გაცილებას უწყობდნენ. უცხო სტუმრის, ანუ ელჩის მიღების ცერემონია მოიცავდა ყველა იმ ძირითად ფორმას, რომელიც მიღებული იყო იმდროეიდელ მსოფლიოში. შესაძლოა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა არ აძლევდა ქართველებს მდიდრულად დახვედროდნენ უცხოელ სტუმრებს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა ვთქვათ, რომ იმ ელემენტარულ ნორმებს მაინც იცავდნენ რაც აუცილებელი იყო. დიპლომატიურ ურთიერთობებს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და საკმაოდ დიდ როლსაც თამაშობდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

თავი VII

მეფის დაკრძალვა

ჩვენ განვიხილეთ სხვადასხვა ცერემონიები, რომლებიც ტარდებოდა შუა საუკუნეების სამეფო კარზე. აღსანიშნავია კიდევ ერთი, დაკრძალვის ცერემონია, რომელიც, ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო. ქრისტიუნული სარწმუნოება ადამიანს ავალდებულებდა მიცვალებულისთვის პატივი მიეგო და გარკვეული წესების დაცვით მიწისთვის მიებარებინა. რაც შეეხება მეფის დაკრძალვის ცერემონიას, ის, თავსთავად, მოითხოვდა მეფე პატივით დაეკრძალათ და მთელი რიგი წესები დაეცვათ.

ჩვენთვის ცნობილია სხვადასხვა ისტორიკოსთან დაცული „გლოვის წესი", როგორი იყო ეს ცერემონია, დეტალური ინფორმაცია არ გვაქვს, მაგრამ ზოგადი სურათის აღდგენას მაინც შევეცდებით. საინტერესოა როგორ აღწერს მემატიანე ვახტანგ გორგასლის სიკვდილის ამბავს. კერძოდ ჯუანშერი წერს: *„მაშინ წარჩინებულთა და ყოველსა ერსა ზედა დღე იყო სასჯელისაჲ, და იტყებდეს ყოველნი და თავთა თჳსთა ისხმიდეს ნაცარსა და ყოველნი ინატრიდეს თავისა თჳსისა სიკუდილსა. და ჴმისაგან ტირილისა და ტყებისა და გოდებისა იძვროდა ქვეყანაჲ და მორწმუნე ერი ჰნატრიდა მეფესა, რამეთუ ქრისტესთვის მოიკლა. და მოკუდა ვახტანგ და დაეფლა მცხეთასა, საკათალიკოზოსა სუეტსა თანა რომელსა შინა არს დაპყრობით სუეტი ღმრთივაღმართებული*".[84] როგორც ვხედავთ, მეფის სიკვდილს დიდი მწუხარება და გლოვა გამოუწვევია. ჯუანშერი დეტალებში აღარ აღწერს მეფის დაკრძალვის

[84] ჯუანშერი. გამოსცა ზ. სარჯველაზემ. ქართლის ცხოვრება. თბ.2008, გვ. 221.

ცერემონიას. მხოლოდ სად დაიკრძალა იმის მითითებით შემოიფარგლება. როგორც ჩანს, ისტორიკოსები ნაკლებად ამახვილებდნენ დაკრძალვის ცერემონიალზე ყურადღებას, რადგან, ერთის მხრივ, ის ყველასთვის ცნობილი იქნებოდა, ხოლო მეორეს მხრივ, არც თუ ისე სასიამოვნო აღსაწერი. თავისთავად უსიამოვნო პროცესი იქნებოდა და მასზე აღარ ამახვილებდნენ ყურადღებას.

განვაგრძოთ ცნობების მოძიება, შემდეგი საინტერესო მომენტი აღწერილი აქვს დავითის ისტორიკოსს, ეს ცნობა არ უკავშირდება კონკრეტულად მეფის გლოვას და დარძალვას, მაგრამ აღწერს სამეფო საკზე როგორ გლოვობდნენ დიდიებული მოხელის გარდაცვალებას. *„მაშინ ოვსეთს ყოფასა მიიცვალა გიორგი ჭყონდიდელი, თავსმდები სიყრმითაგანთა პატრონის–მსახურებათაჲ; და პატივითა დიდითა წარმოგზავნა მონასტერსა ახალსა და მუნ დაემარხა, რომელი იგლოვა ყოველმან სამეფომან და თჳთ მეფემან უმეტესცა მამისა შემოსითა შავისაჲთა ორმეოც დღე, ვიდრემდის იშვა ვახტანგ, რომლისა ხარებითა დაჴსნა გლოვაჲ“.*[85] როგორც ვხედავთ, მეფე თავის ერთგულ მოხელეს ორმოცი დღის განმავლობაში გლოვობს და აცვია შავი სამოსი. ქრისტიანულმა სარწმუნოებამ დღევანდლამდე მოიტანა გლოვის ასეთი ტრადიცია, შავებით შემოსვა ორმოცი დღის განმავლობაში. თავად მეფეც კი იცავდა გლოვის ამ წესს. აქვე მოვიტან ცნობას, რომელიც დაცულია თამარის ისტორიკოსთან და, ასევე, სამეფო გლოვის ცერემონიას ეხება. გიორგი III-ის თანამეცხედრე დედოფალის, ბურდუხანის, გარდაიცვალებას ისტორიკოსი ასე აღწერს: *„ვაებანი და ტყებანი იქმნეს ჟამსა მას, შემსგავსებული მოსაწევარისა ... და წესისაებრ იგლოვეს ყოველთა ქართველთა ... ამფხვრელმან თმათა და წვერისამან“.*[86] ზოგადად გლოვის ნიშანი იყო თმის და წვერის მოპარსვა არა მხოლოდ მეფისთვის, არამედ მამაკაცებში.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ გიორგი III-ის გარდაცვლებას ასე აღწერს: თამარი თბილისში ყოფილა, როდესაც გაუგია მეფის (მამის) გარდაცვალების

[85] ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი. გამოსცა მზ. შანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 320.
[86] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. გამოსცა გ. კარტოზიამ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 397.

ამბავი, *„თამარ, პირი იგი ეთეროვანი და უკიმირო ჰაერი და უმრუმო ნათელი, შეიზღუდა ბნელითა, და მფხურელსა თმათასა უსწრობდა წყარო სისხლისა წყაროსა ცრემლთასა“.* შემდეგ საინტერესო მომენტია აღწერილი, მეფის და, რუსუდანი მიდის სამეუფო ტაძარში ... *„და იხილეს მიქაელ პატრიარქი, ყოველთა ებისკოპოზთა თანა მდგომი და ვაზირი ანტონი და ამირსპასალარი ყუბასარ და სხუანი ხელისუფალნი: ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესი, ვარდან დადიანი ჩუხჩარხი, ჭიაბერი მეჯინიბეთუხუცესი, აფრიდონ მსახურთუხუცესი ... და დიდებულნი, აზნაურნი და მოყმენი, თანა პორფირი და გვრგვნი სკიპტრითა და საჭურველითა სვანად ჴმარებულითა“.*[87] მოცემული ციტატა გვამცნობს, რომ მეფის დაკრძალვას უმაღლესი სამღვდელოება და დიდებული მოხელეები ესწრებოდნენ. მათი მონაწილეობა დაკრძალვის ცერემონიაში ეჭვს არც იწვევს, რადგან მეფის კურთხევის დროს ყველა მათგანი თავის განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებდა. ასევე უნდა ყოფილიყო მეფის დაკრძალვის დროსაც, რადგან მეფე ღირსეულად გაეცილებინათ წუთისოფლიდან. დაკრძალვის შემდეგ კი ასე უნდა ეგლოვათ მიცვლებული: *„ბნელთა სახლთა შინა შეწყვდევასა, შთაცმასა და დაფენასა ძაძისასა და კიდე-ქმნასა ყოვლისა სანოვაგისასა“.*[88]

გლოვა, როგორც ჩანს, ერთ წელიწადს გრძელდებოდა და მაშინ სრულდებოდა, როდესაც წლისწირვას გადაიხდიდნენ მიცვალებულისთვის. ამის შემდეგ კვლავ შეიძლებოდა მხიარულება. ამის შემდეგ, გარკვეული პერიოდის მანძილზე, ისტორიკოსები თითქმის არსად წერენ ქართველი მეფის გლოვაზე და დაკრძალვის რიტუალზე. სამაგიეროდ ერეკლე მეფის დაკრძალვის განკარგულება და მთელი ცერემონია შეგვიძლია დეტალებში განვიხილოთ, რომელიც შუა საუკუნეების რიტუალისგან ძალიან განსხვავებული არ უნდა ყოფილიყო.

„ქართული სამართლის ძეგლების“ II ტომში ტექსტის სათაური შემდეგია:

---

[87] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. გამოსცა გ. კარტოზიამ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 400

[88] იქვე, გვ. 401.

„განწესება ერეკლე მეფის დაკრძალვისა“ (1798 წ.). მასში აღწერილია „ცერემონია წარღებასა ზედა ცხედრისასა“. დასაწყისში აღნიშნულია, რომ სრულიად ზემო საქართველოს მეფე ირაკლი მეორის ცხედარი ამ კანინის და ცერემონიის დაცვით უნდა დაიკრძალოს. აღნიშნულია, რომ ეს ცერემონია ქმნილი, დაწერილი, მოგონილი და გაკეთებულია მაღალ-კეთილშობილების ალექსის ძის, თელავის სემინარიის რეკტორის დავითის მიერ. პირველად დაიწყება ტირილი და გლოვა. წინ თოფხანა და ზარბაზნები უნდა განათავსონ დროშით და ამალით, წინ უფროსი აფიცრები ხმალ ამოღებულნი დადგებიან, უკან უმცროსნი ხმალდაშვებულნი. პირველად სამეფო ცხედართან მოვა თოფხანის განმგებელი, მას მოჰყვებიან მესაკარგავნი, ბალაბანდი მდაბლად დაჰკრან, უკანასკნელი პატივი მისცენ, ცრემლით იტირონ, გაბრუნდნენ და თავიანთ ადგილას დადგნენ. მოზარეებს წინ გამოუძღვებთ შავებში გამოწყობილი ცერემონმაისტერი ალექსის ძე დავით.

ამის შემდეგ დეტალურადაა ჩამოთვლილი ვინ რა უნდა გააკეთის და ვის შემდეგ ვინ უნდა მივიდეს ცხედართან. *„შემდგომად ამისა მოვიდნენ მეწინავე სარდრები: ორბელიანი და ქისიყის მოურავი, ორნივე სწორად, თავისის სამჯედროთი. თჳსნი დროშანი მოუძღოდესთ წინ, დროშასთან ორ-ხორად უძღოდენ მოზარენი და მათს წინ ცერემონმეისტერი. მეფის ცხედართან იტირონ, თავი მოუდრიკონ დროშათა, და თვითცა სარდართა თავი მოიხარონ თაბშიშველთა, გაბრუნდნენ და თვისსა განწესებულსა ადგილსა დადგნენ.*

შემდგომ ამისა ქართლისა და კახეთისა მემარცხენე სარდრები მოვიდენ, ორნივე თანაჰსწორად, თვისთა სამხედროსა გუნდითა, წინ თჳსნი დროშანი მოუძღოდენ; მათ წინ ორნი ხორონი მოზარენი და ამათს წინ ცერემონმაისტერი. სამეფოს ცხედართან მოვიდენ, დაბლის ჴმით ცრემლით იტირონ, თავშიშუელთა თჳთცა თავი მოუხარონ ცხედარსა და დროშათაცა, საუკუნო ამბორი მისცენ, წარვიდენ და თჳსსა განწესებულსა ადგილსა დადგნენ, თჳსსა განწესებულსა ადგილსა დადგნენ,

თვსთა გუნდთა და სამჯედროთა განწესებულსა ადგილსა დადგნენ, თვსთა გუნდთა და სამჯედროთა თანა.

შემდგომად ამისა ქართლისა და კახეთისა მემარცხენე სარდრები მოვიდენ, ორნივე თანაჰსწორად, თავისთა სამხედროთა, წინ თვსნი დროშანი მოუძღოდენ; მათ წინ ორნი ხორონი მოზარენი და ამათს წინ ცერემონმეისტერი. სამეფოს ცხედართან მოვიდნენ, მდაბლის ჯმით ცრემლით იტირონ, თავშიშველთა თვთცა თავი მოუხარონ ცხედარსა და დროშათაცა, საუკუნო ამბორი მისცენ, წარვიდენ და თვსსა განწესებულსა ადგილსა მდგომარე იყუნეს, თვისის სამხედრო გუნდით.

შემდგომად ამისთან ცხენი ორი, სწორედ შეკაზმული, ორს ჯილავდარს ეჭიროს, მხარზედ ზიმფუშები დაკეთიც ეკიდოსთ, ორნი მილახორნი მიუძღოდესთ წინ, თავშიშველნი და საყელოსეხსნილი; ცხენნი შეკაზმულნი: ერთს ტახტზედ ეკიდოს სამამაცო საჭურველნი, სამკლავები და მეორეს ცხენის ტახტას–მუზარადნი და სხუანი იარაღნი.

შემდგომად მოვიდნენ მეაბჯრენი, ესე იგი ჯაბადარნი, ხელთააქუნდესთ მშვილდისარნი და კაპარჭნი და ეგრეთვე შუბნი; იყუნენ თავშიშველნი, საყელო–ჩამოხევით და გოდებით მტირალნი.

ამასთან ხელჯოხიანები წესდგომით, თავშიშველნი, საყელოჩამოხსნილნი და ხელთა შემუსრვლისა ჯოხისა მქონებელნი.

ამასთან ბოქაულთ–ხუცესნი წესდგომით, თავშიშველნი, საყელოჩამოხსნილნი და ჭელთა შემუსვრვლისა ჯოხისა მქონენი.

ამასთანნაზირნი: პირველნი მარჯუენით და მეორენი მარცხენით, თავშიშველნი, საყელო–ჩამოხსნით.

ამასთან ლაშქარნივისნი. პირველნი მარჯუენით და მეორენი მარცხენით, თავშიშველნი საყელო–ჩამოხსნით.

ამასთან მოლარეთ–უხუცესნი და მოლარენი, სალაროს მწერალნი და

ფეშქაშნივისნი, მარჯუნივ და მარცხნით განყოფით. მოლარეთ–უხუცესთა ჴელთა აქვნდესთ ფადნისნი და ფადნოსთა ზედა მდებარნი კლიტენის ალაროთანი; ესენიცა თავშისველ–მკერდღიანი.

ამასთან მდივნები, მარჯუენით პირველნი, ხოლო მარცხენით მეორენი, ჴელთა საწერლისა მქონებელნი და კალამ–შემუსრვლნი, თავშიშუელნი და საყელოჩამოხსნილნი, ცრემლდენით.

შემდგომად მდივანბეგნი და მჰსაჯულნი ქართლისა და კახეთისანი, პირუელნი მარჯუენით და მეორენი მარცხენით; ამათსა წინა ახლოს უძღოდესთ მდივანბეგთა მწერალი პირველი, ეპყრას ვერცხლის ფადნოსი, ფადნოსსა ზედა ბალიში ფარჩისა და მას ზედა მდებარე წიგნი სამართლისა.

შემდგომად მანდატურთ–უხუცესნი, რომელ არიან ეშიკაღასბაშნი, ესენი მარჯუენით, ხოლო მარცხენით ხალვათხანის ეშიკაღასბაში; ეპყრასთ ჴელთა კვერთხნი შემუსვრილნი და იყუნენ ცრემლითა მგოდებელნი.

სემდგომად ორ–ხოროდ მგალობელნი: მარჯუენით მისის უმაღლესობის მეფის მგალობელნი, ხოლო მარცხენით მისის უწმიდესობის პატრიარხის მგალობელნი. და იტყოდენ გალობათა ლმობიერისა ჴმითა წყნარად <<წმიდაო ღმერთოსა>>. და უკეთუ ჰნებავს მისსა უწმიდესობასა, მგალობელნი ჰგალობენ <<კონდაკსა>> და <<იკოსსაცა>> მიცვალებულთასა . . . ხოლო მგალობელთა მარჯუენით წინა უძღოდეს კანანარხი, და ეგრეთვე მარცხენეთა ხოროთა მეორე კანანარხი“.[89]

როგორც ვხედავთ ერეკლე მეფის დაკრძალვის ცერემონია ყოფილა ერთ-ერთი ფართომასშტაბიანი და რთული აგებულების ცერემონია. ყოველგვარი დეტალი გათვლი და მომზადებულია, თვითოეულმა მონაწილემ იცის სად და როდის უნდა დადგეს, ან როგორ გამოხატოს მწუხარება. ეს ცერემონია მხოლოდ ერთი მეფისთვის არ ყოფილა განკუთვნილი, საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და ემატებოდა

[89] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 534–536.

გარკვეული შტრიხები. ის ძირითადი ქრისტიუნული წეს-ჩვეულებები კი უცვლელი უნდა დარჩენილიყო, რომლის მიხედვითაც იკრძალებოდა მიცვალებული. მეფის დაკრძალვა და გლოვა ქვეყნის ყველა სოციალური ფენის მოვალეობა იყო და მას არა მხოლოდ ესწრებოდნენ, არამედ ყველას თავისი წვლილი შეჰქონდა ამ ცერემონიაში. აქაც, როგორც ვხედავთ, უფროს-უმცროსობა დაცული უნდა ყოფილიყო და სხვადასხვა მოხელის ეს თუ ის მოქმენდება თუ ჩაცმულობის დეტალებიც განსხვავებული და რეგლამენტირებული იყო.

ერეკლე მეფის დაკრძალვაში მონაწილეობას უმაღლეს საერო ხელისუფალთა გარდა უმაღლესი სამღვდელოებაც იღებდა მონაწილეობას. ეს ამ სოციალური ფენის მონაწილების გარეშე წარმოუდგენელიც იქნებოდა. ცალკე განწესება იყო განკუთვნილი სამღვდელო დასისთვის. ვკითხულობთ: *„უწმიდესი კათალიკოს-პატრიარხი, პირუელნი მიტროპოლიტნი, არხიეპისკოპოსნი, ეპისკოპოსნი, პირველნი არხიმანდრიტნი: მარჯუენით ქვაბთა ხევისა, ხოლო მარცხენით შუამთის არხიმანდრიტი, მოძღვართ-მოძღუარი, პროტოპაპნი: მარჯუენით მეფისა, მარცხენით კათალიკოსისა, მარჯუენითმცხეთისა, ხოლო მარცხენით ალავერდისა, კანდელაკნი მარჯვენით და მარცხენით, მეფის კარის ეკლესიის მღუდელნი მარჯუენით, მარცხენით კათალიკოსნი.*

ხოლო შემდგომად სხვანი მღუდელნი, ვითა მათნი მღუდელმთავარნი იყუნენ მდგომარენი, ეგრეთ მათნი დეკანოსნი, კანდელაკნი და კრებულნი იყუნენ მდგომნი თჳსთა ხარისხთა შინა. ეგრეთ ჰსდგენ, ვითა განწესებულ არს წერილთა შინა სამღუდელოთა დასთათვის.

და სადაცა დასვენებულ იყოს ცხედარი მეფისა, კუბოთი, ძჳრფასითა ფარჩებითა მოკრული, და ოთხსა კერძოსა ოთხნი ორთავიანი არწივნი ფარჩისანი, მიკრულნი და კუბოსა ზედა მდებარე; სამეფოსა გჳრგჳნსა გარდა სხუა გჳრგჳნი, შემოსილი ძვირფასითა სტოფითა.

ამასთან სანატრელის მეფის ირაკლის გუამი უნდა ეპყრასთ ბრწყინვალეთა

თავადთა ქართლისა და კახეთისათა. ამას ცხედარსა მოჰსდევდენ ორნი სხუანნი დიაკონნი, სტიხარცმულნი და ვერცხლისა ლამპრებით აღნთებული, თეთრი სანთლები ეპყრასთ, ერთი თავით ცხედრისა და მეორე ფეხრთით, და დანაშთომნი ყულუჩნი მოჰსდევდენ; ხოლო ცხედრისა თავით სხუა ორი დიაკონი შემოსვილი და მეკმეველნი.

წინ უძღოდენ მოზარენი და ცერემონმეისტერი და საცა სახლსა და პალატსა შინა ჰბრძანდებოდეს მისი სიმაღლე დედოფალი დარეჯან, ზარით წამოუძღვნენ და მასთან დარბაისელთა ცოლნი თავშიშველნი მოვიდენ ცხედარსა თანა მეფისასა; და იყოს გოდება, ტირილი და სალმობა გამოუთქმელი და უკანასკნელი გამოსალმება და დათხევა ცრემლთა.

ამას შეუდგენ ძენი მეფისანი ცხედარსა თანა მეფისასა მისასვლელნი, ამათ შეუდგენ პირველნი თავადნი. ამა პირველთა თავადთა შემდგომად მეორენი თავადნი, ხოლო ამა მეორეთა თავადთა შემდგომად მესამენი თავადნი და შემდგომად აზნაურნი და ყოველნივე თავშიშველნი.

ამათ უკან შეუდგენ რაოდენნიმე ეშიკაღასბაშნი, ბოქაულთ–უხუცესნი და იასაულნი, რომელ დაბალნი ხალხნი, მამაკაცნი ანუ დედაკაცნი, ჩინებულთა გვამთა გვამთა შემაწუხებელ არა ექმნენ.

ხოლო რომელნიცა ზემორე მოხსენებულ არიან სარდარნი მეწინავენი, მემარჯუნენი და მემარცხენენი ყოველნივე თჳს–თჳსთა საკუთარითა სპითა წინა უვიდოდენ, თჳსთა დროშებითა, თჳს–თჳსთა განწესებულთა ადგილთა და ხარისხთა, ყოველნივე დაწყობით ვიდოდენ, და სარანგნი თჳს–თჳსთად მიჩენილნი ცერემონმეისტერისაგან მართავდენ, რათა მწყობრნი არა აღირივნენ და დაწყობით აქუნდეს სლვანი“.[90] ასეთი დეტალური აღწერილობა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მეფის დაკძალვის ცერემონია საკმაოდ კარგად ყოფილა ორგანიზებული და ყველაფერი წესისა და კანონის ნორმებს დამორჩილებული. ზოგადა მეფეთა

[90] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 536–541.

დაკრძალვის წესი თითქმის ერთნაირი უნდა ყოფილიყო, მაგარამ ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან გამომდინარე რამდენჯერმე უნდა მომხდარიყო ცვლილება. სამწუხაროდ ჩვენ სხვა უფრო წინა პერიოდის ასეთი დეტალური აღწერილობა არ მოგვეპოვება, მაგრამ, ფაქტობრივად, ფინალური ცერემონია ხელთ გვაქვს. პირველი დაკრძალვის, მითუმეტეს მეფეთა დაკრძალვის ქრისტიანული წესი ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ უნდა მომხდარიყო. შემდეგ კი გზადაგზა განეცადა მას გარკვეული ცერემონიალუი ხასიათის ცვლილებები. პირველი ცერემონიალური ცვლილება დაკრძალვის წესში XI საუკუნეში უნდა მომხდარიყო, როდესაც ჩამოყალიბდა ერთიანი მონარქია. სამეფო კარზე მყოფი მოხელეების უფლება–მოვალეობების ცვლილება და საერთოდ სამეფო კარის ცერემონიების სახეცვლილება ამ დროს უნდა მომხდარიყო. შემდეგ ყოველი ახალი სახელოს დამატების დროს მასში გარკვეული დეტალები აღიბეჭდებოდა. ახალი მოხელის უფლება-მოვალებები ადგილს იკავებდა ყველა ცერემონიაში იმის გათვალისწინებით თუ როგორი იყო მისი სოციალური სტატუსი. შემდეგი ძლიერი ცვლილებების ტალღა უკავშირდება ერთიანი მონარქიის დაშლას, XV საუკუნის ბოლოს როდესაც რამდენიმე სამეფო-სამთავრო ჩამოყალიბდა სხვადასხვა სამეფო–სამთავროში ცერემონიაში მონაწილე მოხელეების უფლება მოვალეობებიც შეიცვალა. დაიწყო ადგილობრივი დიდებულების უფრო მეტად ჩართვა სამეფო კარის ცერემონიებში, რაც თავისთავად სწორიც იყო. ეს ცვლილებები ერეკლე მეფის დაკრძალვის დროს ნამდვილად ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სხვა წყარო არ გვქავს, რომლითაც გადავამოწმებდით ან უფრო დავაზუსტებდით ჩვენს მოსაზრებებს, ერთი რამ ცხადია, მეფის დაკრძალვის ცერემონია შედგებოდა საეკლესიო და საერო რიტუალებისგან ერთობლიობისგან. საერო ცერემონიის ცვლილება დაკავშირებული იყო პოლიტიკურ ცვლილებებთან, ხოლო საეკლესიო ცერემონია იყო ის ძირითადი ნაწილი, რომელსაც ეყრდნობოდა აღნიშნული ცერემონიალი და ნაკლებად განიცდიდა ცვლილებას. დასკვნის სახეთ

შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეფის დაკრძალვის ცერემონია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცერემონია ყოფილა, რადგან მისი დეტალურად დაგეგმა და შესრულება აუცილებელი იყო, სხვა ცერემონიების მსგავსად მასაც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ და უფროს-უმცროსობის დაცვით აღასრულებდნენ.

დასკვნა

ჩვენს მიერ განხილული სამეფო კარის ცერემონიები ნათელად ასახავს შუა საუკუნეების საქართველოში არსებულ კულტურულ, პოლიტიკურ თუ სოციალურ მდგომარეობას. ცერემონიების ჩატარება მოითხოვდა ყველა იმ ნიუანსის გათვალისწინებას, რაც მნიშვნელოვანი იყო ქართული კულტურისთვის. ცერემონიებზე დაკვირვებიდან ჩანს თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანობას ქართული საზოგადოებისთვის და, ასევე, კულტურისთვის. ყველა მნიშვნელოვანი ცერემონია მოითხოვდა სამღვდელოების მონაწილეობას მისი სრულყოფილად ჩატარებისთვის. მეფის კურთხევა, დარბაზობა და დაკრძალვა სამღვდელოების

მონაწილეობის გარეშე არ ტარდებოდა.

საზოგადოების კულტურისა და განვითარების განმსაზღვრელად შეგვიძლია მივიჩნიოთ უცხოელი სტუმრის მიღების ცერემონია. საუკუნეების განმავლობაში შეუცვლელი სტუმართმოყვარეობით ხდებოდა სხვა ქვეყნის წარმომადგენლების მიღება, რომელიც შუა საუკუნეების ყველა განვითარებული ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცერემონია იყო. დღემდე უცხოელ ელჩებსა თუ სტუმრებს საზეიმოდ ხვდებიან, უმასპინძლდებიან და მათ უკან დაბრუნებაზეც ზრუნავენ. ეს კი მიგვანიშნებს რომ საქართველო საკმაოდ ადრე ყოფილა განვითარების იმ დონეზე, რომელზეც განვითარებული ქვეყნები იყვნენ, ანუ საქართველოში უცხოელი სტუმრის მიღება სრულად პასუხობდა იმ საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც მიღებული გახლდათ სხვა დაწინაურებულ ქვეყნებში.

ასევე საინტერესოა დარბაზობისა და პურობის ცერემონიები, რომლებიც სამეფო კარზე მთელი რიგი წესების დაცვით მიმდინარებდა. სამეფო კარზე ასრებული დარბაზობის ცერემონია და მასში მონაწილე მოხელეები გარკვეულ წილად შეგვიძლია დღევანდელ პარლამენტის სხდომებს დავაკავშიროთ. თითოეული მოხელის უფლება–მოვალეობები, გაწერილი პროტოკოლების დაცვა, ყველაფერი ეს ერთმანეთს წააგავს. შესაძლოა გამოვთქვათ მოსაზრება, რომ სწორედ ძველი დარბაზობის ცერემონია იყო ის ბაზისი, რომლის გარდაქმნის და მრავალგზის დახვეწის შემდეგ მივიღეთ თანამედროვე ტიპის საპარლამენტო სხდომები. ასეთი მრავლფუნქციური სამეფო დარბაზის არსებობა სწორედ, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარების მაჩვენებელი იყო.

საინტერესოა სამეფო ცერემონიალური სამოსის საკითხი, როგორც ზემოთ განვიხილეთ, მეფე და დიდებულები, წესის მიხედვით, გამოწყობილები უნდა ყოფილიყვნენ საზეიმო და ძვირფას სამოსში. აღნიშნული ხდებოდა მნიშვნელოვანი შეკრებებისა და აუდიენციების დროს. დღევანდელ რეალობაში ქართულ საზოგადოებაში ეს ტრადიცია გარკვეული ტრანსფორმაციით კვლავ ცოცხლობს და

მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩატარება სწორედ საზეიმო სამოსში გამოწყობილ დამსწრე საზოგადოებას გულისხმობს, ერთ-რთი განსხვავება ისაა, რომ ტრადიციული ქართული სამოსი ჩაანაცვლა ევროპულმა.

კიდევ ერთი ცერემონია, რომელიც, თითქმის, უცვლელად შემოგვრჩა არის დაკრძალვის ცერემონია. ეს ფაქტი უფრო განპირობებულია ქრისტიანული წეს–ჩვეულებების დაცვით, ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ შემუშავდა ერთგვარი რელიგიური დაკრძალვის ცერემონია, რომელიც მცირე დეტალების ცვლილებით დღემდე აგრძელებს არსებობას და ასრულებს თავის ფუნქციას. რელიგიური დატვირთვის მქონე ცერემონიალები დღემდე, ფაქტობრივად, ავთენტური სახითაა შემორჩენილი და ხშირად გამოიყენება საეკლესიო პრაქტიკაში.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ კავშირები ძველ ქართულ ცერემონიებსა და დღევანდელ ცერემონია-რიტუალებს შორის, რომელიც მაგალითია საქართველოს კულტურული განვითარების უწყვეტი ჯაჭვისა, კიდევ უფრო ზრდის ყველა ამ ტრადიციისა თუ ცერემონიის მნიშვნელობას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

წყაროები:

დიდი სჯულისკანონი. გამოსაცემად მოამზადა ე. გაბიძაშვილმა. თბ. 1975;

ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. გამოსცა გ. კარტოზიამ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008;

ლაშა-გიორგის მემატიანე. გამოსცა ც. ქურციკიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ.2008;

მატიანე ქართლისაჲ. გამოსცა მ. ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება, თბ. 2008;

მცირე სჯულის კანონი. გამოსაცემად მოამზადა ე. გიუნაშვილმა. თბ. 1972;

პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა. თბ. 1981;

ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. გამოსცა გ. ალასანიამ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008;

სუმბატ დავითის ძე. ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთაჲ. გამოსცა მ. ლოთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ.2008;

ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა (1650–1652 წწ.). გამოსცა ი. ცინცაძემ. თბ. 1970;

ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია). რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2004;

ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. ტ. I, თბ. 1963;

ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. II თბ. 1965;

ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი. გამოსცა მზ. შანიძემ, თბ. 2008;

ჯუანშერი. გამოსცა ზ. სარჯველაზემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008.

ლიტერატურა:

ანთელავა ილ., საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს. თბ. 1983;

ბახტაძე მ., ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ. 2003;

ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. III. თბ. 1966;

ბოგვერაძე ა., ქართლის პოლიტიკური და სოციალურ–ეკონომიკური განვითარება IV–VIII სს., თბ. 1979;

კაკაბაძე ს., ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ. თბ. 1913;

სამუშია ჯ., ბაგრატ III, თბ. 2012;

ქართული დიპლომატიის ისტორია. მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2003;

ჩიტაია გ., სამი ინსიგნია (წარჩინების ნიშანი) ამიერკავკასიიდან, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XVI–XVII სს. თბ. 1972;

ციციშვილი ი., მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისთვის. თბ. 1954;

ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VI. თბ. 1982;

ჯავახიშვილი ივ., თხულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, თბ. 1984;

Eastmond A., Royal Imagery in Medieval Georgia. Pennsylvania State University Press. 1998.